# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№45 (9876) 2025 წლის 28 მარტი, პარასკევი


რონინ მეტრეველი:

## სხვაობა 600 წელი

### დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი



იხ. 4-5 გვ.



600 წელი... 600 არის რიცხვი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ხიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის. სწორედ 600-მა გადამაწყვეტინა ჩვენც ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ნარკვევის დაწერა.

კახა კალაძე:

## მხოლოდ კონკრეტული წინადადებები 6





## გაზაფხულის დღესასწაულები ჩუღურეთში, ვითარცა მთელი საქართველოს ქალთა პატივგება 7

## „ქართული ოცნებისთვის“ ეკონომიკური განვითარება არის ეროვნული ინტერესის საკითხი 2

მაკა ბოჭორიშვილი:

### საქართველოს სუვერენული არჩევანია, იყოს ევროკავშირის ნაწილი!

ლევან მაჭავარიანი:

### ანტი ლგბტ პროპაგანდის კანონის მიღება იყო მოსახლეობის დაკვეთა!

# რატომ არის ეს თვითმარქვია ქალი ხელშეუხებელი?!




3

## სალომე ზურაბიშვილი დასაპატიმრებელია!



8

## ზელენსკი ტრამპზე, პუტინზე და ომის დასრულებაზე 9

### მაინც, რატომ სძულს თეთრ სახლს ევროპა?

სიცოცხლის წარმოშობის კვალს მიაგნეს

მყინვართა დნობა ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება! იხ. 12 გვ.

მონეტებითა და იარაღით სავსე პირამიდები...



# „ქართული ოცნებისთვის“ ეკონომიკური განვითარება არის ეროვნული ინტერესის საკითხი

**საქართველოს ხელისუფლებისთვის ეკონომიკური განვითარება, არის ეროვნული ინტერესის საკითხი, ამიტომ მთელი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ ბიზნესს ჰქონდეს მეტი განვითარების შესაძლებლობა,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** ეკონომიკური ფორუმის პანელურ დისკუსიაში მონაწილეობის დროს.

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ეწევა, ბიზნესს მეტი განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

**„საქართველოს ხელისუფლებისთვის ეკონომიკური განვითარება, არის ეროვნული ინტერესის საკითხი, ამიტომ მთელი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ ბიზნესს ჰქონდეს მეტი განვითარების შესაძლებლობა.**

**ამ მხრივ, მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ეწევა, განსაკუთრებით ბოლო 3 წლის განმავლობაში არსებული გამოწვევების ფონზე, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ გვქონდეს ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი კონტინენტზე. ზუსტად ამ პოლიტიკის გაგრძელებით და ეკონომიკური თავისუფლების გარემოს უზრუნველყოფით, დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალშიც ქვეყანა მაღალი შედეგით იქნება წარმოდგენილი“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# მაკა ბოჭორიშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს შეხვდა



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს ფერიდუნ სინირლიოღლუს შეხვდა.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებას.

**„გენერალური მდივანი დაინტერესდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობითა და ბოლო განვითარებებით. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატისა და ეუთოს ჩართულობის, ისევე როგორც კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას, საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე.**

**შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში არსებულ ვითარებას, უსაფრთხოების მხრივ შექმნილ გამოწვევებსა და მათი დაძლევის გზებს. ხაზგასმით აღინიშნა საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღსრულების აუცილებლობა მდგრადი სტაბილურობის მიღწევისა და რეგიონის შემდგომი განვითარებისთვის.**

**საუბარი შეეხო ორგანიზაციის მნიშვნელოვან როლს ეუთოს ფარგლებში არსებული კონფლიქტების გადაჭრისა და მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში.**

**მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და ეუთოს თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა საქართველოს აქტიური ჩართულობა ორგანიზაციის სამივე განზომილებაში. მან ასევე დაადასტურა ქართული მხარის ერთგულება ორგანიზაციის პრინციპებისადმი და ხაზი გაუსვა მტკიცე მხარდაჭერას ეუთოსა და მისი ავტონომიური ინსტიტუტებისადმი. ყურადღება გამახვილდა, მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისთან საქართველოს ხანგრძლივ და ნაყოფიერ თანამშრომლობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობის მზადყოფნა, აქტიურად გააგრძელოს ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხებზე.**

**დასასრულს მინისტრმა ეუთოს გენერალური მდივანი საქართველოში მოიწვია. თავის მხრივ, ფერიდუნ სინირლიოღლუმ განაცხადა, რომ პირველივე შესაძლებლობისას ეწვევა საქართველოს“.**

# საქართველოს სუვერენული არჩევანია, იყოს ევროკავშირის ნაწილი!

**მტკიცედ მჯერა, რომ საქართველო ეკუთვნის დიდ ევროპულ ოჯახს, ასევე წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების სისტემის ნაწილსაც. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში გვექნება შესაძლებლობა, ჩავერთოთ გაწევრების პროცესთან დაკავშირებულ ღია დიალოგში,** – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, **მაკა ბოჭორიშვილმა** ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, **ბეათე მაინლ-რაიზინგერთან** ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.



ბოჭორიშვილის თქმით, დიალოგის გარეშე თანამშრომლობის გაგრძელება ძალიან რთულია.

**„საქართველოს სუვერენული არჩევანია ისიც, რომ იყოს ევროკავშირის ნაწილი. სწორედ ეს არჩევანი დაედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წელს ევროკავშირში გაწევრების განაცხადის წარდგენას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში გვექნება შესაძლებლობა, ჩავერთოთ გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ ღია დიალოგში, რაც აუცილებელია როგორც ევროკავშირის გაფართოებისთვის, ასევე საქართველოს ევროკავშირში გაწევრებისთვის. დიალოგის გარეშე ძალიან რთულია თანამშრომლობის გაგრძელება. მტკიცედ მჯერა, რომ საქართველო ეკუთვნის დიდ ევროპულ ოჯახს და ასევე წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების სისტემის ნაწილსაც“,** – აღნიშნა **ბოჭორიშვილმა.**

ამასთან, მაკა ბოჭორიშვილმა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს სხვადასხვა საკითხზე მოსაზრებების გაზიარებისთვის მადლობა გადაუხადა.

**„აუცილებელია, ვიპოვოთ ისეთი გადაწყვეტილებები და გზები, რომლებიც უზრუნველყოფს მდგრად მშვიდობას როგორც ჩვენს რეგიონში, ისე ევროპულ სივრცეში, რაც მომავალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენ ვიმყოფებით ვენაში, სადაც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბბინაა განლაგებული. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყველამ პატივი ვცეთ საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს და ჩვენ გარშემო არსებული პრობლემებისა თუ კონფლიქტების გადაწყვეტის გზების ძიებისას, ვიმოქმედოთ მათ შესაბამისად“,** – აღნიშნა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

# ახალი ელჩები თურქეთში, შვეიცარიაში, კუბის რესპუბლიკაში

**თურქეთის** რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად **არჩილ კალანდია** დაინიშნა. იგი 2005 წლიდან მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2018-2023 წლებში არჩილ კალანდია **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციას იკავებდა. არჩილ კალანდიას მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

**შვეიცარიის** კონფედერაციასა და ლიხტენშტაინის სამთავროში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად **შოთა გეწაძე** დაინიშნა. მას სასამართლო სისტემაში სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.იგი ასევე გახლავთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ექსპერტი ლტოლვილთა და თავშესაფრის საკითხებში, ევროპის საბჭოს ექსპერტი საარჩევნო სამართალში. **კუბის** რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გრიგოლ ბარამიძე დაინიშნა. მას სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობა ეკავა, მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.




# ანტი ლგბტ პროპაგანდის კანონის მიღება იყო მოსახლეობის დაკვეთა!



**„ძალიან მაინტერესებს მაგალითად, ამერიკის მხარესაც იმავეს მოუწოდებენ თუ არა, ვინაიდან სრულ თანხვედრაშია ჩვენი შეხედულებები ამ საკითხთან მიმართებაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით“,** – განაცხადა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ ლევან მაჭავარიანმა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ახალ მემორანდუმთან დაკავშირებით. მისი თქმით, ანტი ლგბტ პროპაგანდასთან დაკავშირებული კანონის მიღება მოსახლეობის დაკვეთა იყო.

*   *   *

**...ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მემორანდუმი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გააუქმოს გამჭვირვალობის შესახებ და ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონები.**

26 მარტს გამოქვეყნებულ ანგარიშში ევროკომისარი მაიკლ ო'ფლაჰერტი, აღნიშნავს, რომ „ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ კანონი“ ქმნის ლგბტ ადამიანების მიმართ სამართლებრივი დისკრიმინაციის საფუძველს და შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და მის პრაქტიკასთან. ევროკომისარი წერს, რომ კანონი სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა სტიგმატიზაციას იწვევს და ხელისუფლებას მოუწოდებს, გააუქმოს ეს კანონი.

# ელისო ბედოშვილი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს!



**ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე და მხატვრული ტანვარჯიშის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ელისო ბედოშვილი ევროპის ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს. ამ პოზიციაზე ქართველი მსაჯი პირველად აირჩიეს.**

ელისო ბედოშვილი ჯგუფურ ვარჯიშში მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელია. მას ევროპის ჩემპიონატის სამივე სინჯის მედალი აქვს მოპოვებული. არის საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მან იმსაჯა ტოკიოსა და პარიზის ოლიმპიადებზე. 2018 წელს სპორტის სამინისტრომ ელისო ბედოშვილი წლის საუკეთესო მსაჯად დაასახელა.

# კანადის ახალი პრემიერი დონალდ ტრამპს „თავდამსხმელს“ უწოდებს



**აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ახალი, 25%-იანი ტარიფების დაწესებას კანადის პრემიერ-მინისტრი პირდაპირ თავდასხმას უწოდებს.** მარკ კარნის თქმით, ტრამპის ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება შეთანხმებას აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის. პრემიერის თქმით, კანადა საპასუხო ზომების მიღებას არ გამორიცხავს.

**„ჩვენ დავიცავთ ჩვენს კომპანიებს, ჩვენს ქვეყანას და დავიცავთ მას ერთად. ჩვენ შევქმენით მექანიზმები, რათა საჭიროების შემთხვევაში დავაწესოთ საპასუხო საბაჟო გადასახადი. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა იყოს გათვალისწინებული“,** – თქვა პრემიერ-მინისტრმა.

კარნის თქმით, არ იქნებოდა ურიგო, თუ მასა და ტრამპს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართებოდა და არ გამორიცხავს, რომ ეს მალე შედგება. შეგახსენებთ, რომ ამერიკის პრეზიდენტი ახალ, 25%-იან ტარიფებს აწესებს იმ მანქანებზე, რომლებიც აშშ-ში არ არის დამზადებული. ტრამპმა განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა და ის ძალაში 2 აპრილიდან შევა. აშშ-ის პრეზიდენტმა დააკონკრეტა, რომ ტარიფები შეეხება იმ ავტომობილებსაც, რომლის ნაწილებიც ამერიკაშია დამზადებული, თუმცა აწყობილია სხვა ქვეყანაში.

## ქვეყნის მოღალატე...

საქართველოს რესპუბლიკა



# რატომ არის ეს თვითმარქვია ქალი ხელშეუხებელი?!

თუ ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის, მაშინ უნდა გაისინჯოს, ხონის ფსიქიატრიულში არის მშვენიერი ადგილები. თუ არის და შეგნებულად მოქმედებს კონსტიტუციური წყობილების დასამხობად, ამისთვის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს შესაბამისი მუხლები. ზოგიერთი ტვინგამორეცხილის აზრი, რომ რადგან ყოფილი პრეზიდენტია, არაორდინარული იქნება მისი იზოლაცია საზოგადოებისგან, ეს სისულელეა. დაგუგლონ, და ნახონ რამდენი პრეზიდენტია დაკავებული და რამდენის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

**პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე ხელისუფლებისგან ხისტი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს — ბალტიის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის შეჩერებას, იმ დიპლომატების პერსონა „ნონ გრატად“ გამოცხადებას, რომლებიც აწყობენ რევოლუციას და აგულიანებენ ქართველ მოღალატეებს. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მისი თქმით, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და მათ შორის რევოლუციური პროცესის ხელშეწყობისათვის ზურაბიშვილი უნდა დააპატიმრონ!**

**for.ge სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**



# სალომე ზურაბიშვილი დასაპატიმრებელია!

**— ბალტიის ქვეყნებში მყოფი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში 1937-ანი წლებია და შესაბამისად, ითხოვს დროულ რეაგირებას ევროპისგან. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება ზურაბიშვილის ვიზიტი ბალტიის ქვეყნებში და საერთოდ, ვინ აფინანსებს რიგითი მოქალაქის პოლიტიკურ ვიზიტს?**

— სალომე ზურაბიშვილს ფული არ აკლია. პრეზიდენტობისას მას მაღალი ხელფასი ჰქონდა და გარკვეული შემოსავლებიც. არ დაგვავიწყდეს, რომ მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატია. გარდა ამისა, იქ რომ მიდის, ფულს აძლევენ, ბილეთსაც კი ისინი ყიდულობენ. ამ ფინანსებს თავად იხდიან და იხდიან იმიტომ, რომ მათ ინტერესშია საქართველოში ხელისუფლებაში მოვიდეს ის ძალა, რომელიც იქნება მათი მონა-მორჩილი და საქართველოს გადააქცევს დაძაბულობის კერად. ძალიან მარტივია მათი ინტერესი.

ბალტიის ქვეყნები დაინტერესებული არიან იმით, რომ უკრაინასთან ერთად, ყურადღება საქართველოზე იქნას გადმოტანილი, რომ ისინი არ გახდნენ კონფლიქტის მონაწილეები. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი უფრო არიან დაინტერესებული, ისე იქცევიან თითქოს რაღაცა დაიცავთ. მათ არავინ არ დაიცავს და უნდა ითქვას, რომ პირდაპირ პროვოცირებენ, მათ შორის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ აკეთებენ, ეს მართლაც აღმაშფოთებელია. ამიტომ, მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას ბალტიის ქვეყნებთან გაწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა.

**— დიპლომატიური ურთიერთობის გაუქმებას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა. აუტანელია ის შეურაცხყოფები, რასაც გვაყენებენ. საერთოდ, ვინ არიან და რა უფლება აქვთ, რომ ჩვენ გველაპარაკონ ზემოდან?! არავითარი მეგობრობის რეჟიმი არც არასდროს არ გვქონია მაგათთან და არც არის საჭირო. აქედან გამომდინარე, დიპლომატიური ურთიერთობა უნდა გაიყინოს. პერსონა „ნონ გრატად“ უნდა გამოცხადდნენ მათი დიპლომატები, რომლებიც აქ დაბოდიალობენ, რევოლუციურ პროცესებს გვიწყობენ და აგულიანებენ ქართველ მოღალატეებს! რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს — დასაპატიმრებელია სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და მათ შორის რევოლუციური პროცესის ხელშეწყობისათვის! გაუგებარია, რატომ არის ეს თვითმარქვია ქალი ხელშეუხებელი?!

**— თუმცა, ამბობს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ერთ-ერთი ლეგიტიმური ორგანოა, რომელსაც ის წარმოადგენს...**

— თუ ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის, მაშინ უნდა გაისინჯოს, ხონის ფსიქიატრიულში არის მშვენიერი ადგილები. თუ არ არის და შეგნებულად მოქმედებს კონსტიტუციური წყობილების დასამხობად, ამისთვის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს შესაბამისი მუხლები. ზოგიერთი ტვინგამორეცხილის აზრი, რომ რადგან ყოფილი პრეზიდენტია, არაორდინარული იქნება მისი იზოლაცია საზოგადოებისგან, ეს სისულელეა. დაგუგლონ და ნახონ რამდენი პრეზიდენტია დაკავებული და რამდენის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე. ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი უნიკალური არ არის. ავიღოთ სამხრეთ კორეა, ისრაელი, იგივე მათი სათაყვანებელი საფრანგეთის მაგალითი — დღესაც სამაჯურით დადის სარკოზი, რომელსაც აქ უყვიროდნენ ბედნიერები — სარკო, სარკოს.

ძალიან ბევრია ასეთი და მათ შორის იქნება სალომე ზურაბიშვილი. რა თქმა უნდა, არ იქნება სასიამოვნო, ორი პრეზიდენტი გვეყოლება დაპატიმრებული, მაგრამ ავიღოთ სამხრეთ კორეის მაგალითი და ვნახოთ, რამდენი პრეზიდენტია იქ დაკავებული, თითქმის ყველა. იგივე ხდება სამხრეთ ამერიკაშიც. ვერ გავიგე, რომელი მწვანე კიტრია, რომ ხელშეუვალი იყოს?! ხელშეუვალი არის მისი ვალდებულებების შესრულების დროს. არც ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, მაგალითად, პინოჩეტი 90 წლის იყო, რომ გაასამართლეს სიკვდილის წინ.

ზურაბიშვილი არის სამშობლოს კლასიკური, ჩამოყალიბებული მოღალატე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაყვანილი. ან შეიძლება მესამე პრეზიდენტთან ერთად გვერდითა პალატაში მოვათავსოთ, რადგან, როგორც მესამე პრეზიდენტმა თავის დროზე ჭიხვინით გვამცნო, მეხუთე პრეზიდენტი არის მისი ახალგაზრდობის შეცდომა. ხომ გვახსოვს, როგორც გადაიჭიხვინა, მიანიშნებდა რა, გარკვეულ კონტექსტზე, რომ მისი ახალგაზრდობის შეცდომა იყო და მიუსვან გვერდით ის ახალგაზრდობის შეცდომა და „ქართული ოცნების“ მთავარი არქეოლოგიური აღმოჩენა. როდემდე შეიძლება, ამ ქალმა ნერვები უშალოს მოსახლეობას?!

**— რა დირექტივები შეიძლება მიიღოს ზურაბიშვილმა, ფიქრობთ, რომ ისევ რევოლუციური სცენარით დაბრუნდება საქართველოში?**

— რა თქმა უნდა. სხვა სცენარი აქ არ არსებობს, სხვანაირად არ გველაპარაკებიან და არც დაგველაპარაკებიან. აქ მთავარი ის არის, რომ მათ წარმოდგენაში ვასალმა უარი თქვა სამსახურზე. აქ უკვე განწყობაა ასეთი — როგორ გაბედა ვასალმა და პატრონს გაუოჩდა, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს, რომ სხვა ვასალებმა იგივე არ გაიმეორონ.

**— დაისაჯოს იმით, რომ დაამხონ ხელისუფლება და ჩამოაშორონ მართვის სადავეებს?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ვერ ვხედავთ რა ხდება გარშემო? სერბეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი ძნელი დასანახია ეს? მით უმეტს, რომ უკრაინის კონფლიქტი არ მიდის ისე, როგორც მათ უნდათ. არც ამერიკის ჩართულობაა ისეთი, როგორც მათ უნდათ და არც ძალთა განლაგება. გარდა ამისა, კი ვხედავთ კონფლიქტს დასავლეთში, რომელიც ბანაკებად არის გაყოფილი — გლობალისტური ბანაკი, ამერიკის დემოკრატიული პარტია, ბრიტანეთი და აშშ-ში ტრამპის ბანაკი. ყველა ერთმანეთს, ლამის, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის.

სხვადასხვა ბანაკებია ევროპაშიც — ბრიტანული ელიტები, პროგლობალისტური ელიტები და მაგალითად, იგივე საფრანგეთის პრეზიდენტი, პოლონეთის დღევანდელი მთავრობა და ზოგადად, მთლიანად ევროკავშირის სტრუქტურები — სოროსის, ანუ გლობალისტური ელიტების მიერ დასმული ევროჩინოვნიკები და მეორე მხრივ ტრადიცული ევროპის ჩინოვნიკები. აქაც ერთმანეთთან ბრძოლა მიდის — ევროპელი ტრადიციონალისტები და პატრიოტები, ანუ პროტრამპისტული ევროპა, რომელსაც წარმოადგენს, ორბანი, ფიცო, ავსტრიის თავისუფლების პარტია, ასევე საფრანგეთში მთელი რიგი პარტიები და მათ შორის ლეპენის პარტია. გერმანიაშიც ანალოგიური ვითარებაა, პოლონეთში არის მსგავსი ძალები. ანუ, ძალიან მრავალფეროვანი სურათია.

**— ცხადია, რომ გლობალისტური ბანაკი მაქსიმალურად ცდილობს საქართველოში რევანში აიღოს, მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი?**

— თავისას შეეცდებიან, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია. რამდენიმე სცენარია, ესენი რომ დადიან და ერთი და იგივე გაცვეთილ მუსიკას უკრავენ და თავიანთ მიერ გამოთაყვანებული ახალგაზრდობით ცდილობენ რაღაცა მიზნების მიღწევას. ამით ცდილობენ მწყობრიდან გამოიყვანონ ხალხის დიდი ნაწილი, რომელიც გამოვა მორჩილებიდან და მიიღებენ თავისას, რაც ქვეყნისთვის იქნება ცუდი, ვგულისხმობ სამოქალაქო ანგარიშსწორებას. რაც სტადიონზე მოხდა, ესეც მათი ინსპირირებულია. ღიად წერდნენ ამას სოციალურ ქსელში. ნებისმიერი კრიზისის კონვერტაცია პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის — ეს არის ამათი პოლიტიკა.

**— ამის საპირისპიროდ რა არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკა?**

— „ქართული ოცნების“ პოლიტიკა არის კუპირება ამ პრობლემების, ჩააქრონ ეს ცეცხლის ალები, რასაც აკეთებენ. მაგრამ ამის ასე დატოვება არ შეიძლება. გარდა ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომ ეს პოლიტიკური ძალები გაიყვანოს პოლიტიკური ველიდან და აღმოცენდეს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების საშუალება საქართველოში, რჩეული გიჟები და აგენტურა არ გვყავდეს პოლიტიკურ ველზე, რომლებმაც დაღალეს საზოგადოება, დეგრადირება გამოიწვიეს. ჯაშუშები და მარგინალები გვყავს მედია სივრცეში, ენჯეო სექტორში და პარტიებში, რაც უდიდესი პრობლემაა.

**ზურაბიშვილი არის სამშობლოს კლასიკური, ჩამოყალიბებული მოღალატე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაყვანილი. ან შეიძლება მესამე პრეზიდენტთან ერთად გვერდითა პალატაში მოვათავსოთ, რადგან, როგორც მესამე პრეზიდენტმა თავის დროზე ჭიხვინით გვამცნო, მეხუთე პრეზიდენტი არის მისი ახალგაზრდობის შეცდომა.**

**თამთა ქარჩავა**



როინ მეტრეველი

# სხვაობა 600 წელი

## დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი

**დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება სამხედრო რეფორმის გატარებაც.** მას ჯარში მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოუღია. მეფემ ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს, ლაშქრის მოქმედების სისწრაფისათვის გაამრავლა მხედრობა, ცხენოსანი რაზმები. ბრძოლის დროს ლაშქრის ხელმძღვანელობა ახალ ტაქტიკასა და სტრატეგიულ გეგმებს მიმართავდა. დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული ქართული ლაშქრის წყალობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა. სამხედრო რეფორმის შემდგომი ეტაპი იყო 1118-20 წლებში ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში და მათ ბაზაზე მუდმივი ლაშქრის გაძლიერება. დავით აღმაშენებლის დროინდელი ლაშქარი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართველთა ლაშქარი, „მონა სპა“ (მეფის თანმხლები ლაშქარი), ყივჩაყთა ლაშქარი, „როქის სპა“ (დაქირავებული ლაშქარი).

დავით აღმაშენებელმა ფულის კურსის განმტკიცების მიზნით გაატარა დიდმნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, მოაწესრიგა სამონეტო საქმე. რეფორმები გატარდა სამართლის დარგშიც, დაიხვეწა და გაუმჯობესდა მისი წარმოება.

გარდამქმნელი მოღვაწეობა კულტურის სფეროსაც შეეხო.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები მასშტაბური იყო და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ აღმავლობას განაპირობებდა.

* * *

**მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი იყო პეტრე პირველის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში.** საგულისხმოა, რომ რუსეთში XVIII საუკუნე ახლებურად დაიწყო. ახალი 1700 წელი იდღესასწაულეს არა პირველ სექტემბერს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ პირველ იანვარს. ახალი წლის მესამე დღეს პეტრემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც რუსული ჩაცმულობა იცვლებოდა – ძველებური გრძელი კაბა, მოკლე „უნგრულმა კაფტანმა“ შეცვალა.

ბრძანებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიცემოდა. მათი ერთი ნაწილი მუდმივმოქმედი იყო და „გენერალური დანიშნულება“ ჰქონდა, ზოგიერთი კი მოკლევადიანი იყო. პეტრეს მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის წყალობით შეიცვალა სახელმწიფო დაწესებულებები – რუსეთში აბსოლუტური მონარქია დამკვიდრდა.

თუკი წინათ მეფე ბოიართა სათათბიროსთან ერთად მართავდა ქვეყანას, ახლა ეს ინსტიტუტი მოძველებულად გამოჩნდა და მის ნაცვლად დაარსდა ბიუროკრატიული დაწესებულებები, რომლებიც სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მეფეს. 1721 წელს სენატმა პეტრე პირველს იმპერატორის ტიტული მიანიჭა. მეფის უფლებათა განუსაზღვრელობა ნათლად ჩანს სამხედრო წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ **„его величество есть самовластный монарх, который никому на свете о своих делах ответу дать не должен, но силу и власть имеет свои государства и земли, яко христианский государь, по своей воли и благомнению управлять“.**

მონარქის აბსოლუტური უფლებიანობა საგანგებოდაა აღნიშნული სასულიერო რეგლამენტში: **„Император всероссийский есть монарх самодержавный и неограниченный. Повиноваться его верховной власти не токомо за страх, но и за совесть, сам бог повелевает“.**

პეტრე პირველმა შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომელიც პირმშოობაზე იყო დამყარებული. ამიერიდან ტახტის მემკვიდრის შერჩევა იმპერატორზე იყო დამოკიდებული (ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმაც 1125 წლის საანდერძო განკარგულებაში, წინააღმდეგ არსებული ტრადიციისა, შესაძლებლად დაუშვა უმცროსი შვილის გამეფება).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში სასამართლო რეფორმის გატარებას, რომლითაც მთავრობა შეეცადა, ბურჟუაზიული იუსტიციისათვის დამახასიათებელი წესრიგი დაემყარებინა – ადმინისტრაციულ-პოლიციური ხელისუფლება გაეცალკევებინა სასამართლოსაგან.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმების გატარებას. ფართო მასშტაბით წარმოებულმა გემთმშენებლობამ რუსეთის არმიას მეტად მნიშვნელოვანი სიძლიერე შემატა. ჯარში გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა პირველხარისხოვანი



დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული ქართული ლაშქრის წყალობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა



გელათის აკადემია, როგორც ვარაუდობენ, დაარსებულია 1106-1110 წლებში, იგი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი აკადემიაა, რომელიც შეიქმნა რეალური ინტელექტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე და გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს

სამხედრო არმია და საზღვაო ფლოტი. მეფის ხელისუფლების ეკონომიურმა პოლიტიკამ მრეწველობის ზრდა და ვაჭრობის განვითარება უზრუნველყო. ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთმა თავის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ – დიდმა გარდაქმნებმა დააჩქარეს ქვეყნის „ევროპეიზაცია“. ამასთან რეფორმების მთელი სიმძიმე მშრომელი მოსახლეობის კისერზე წვებოდა მძიმე ტვირთად. როგორც ვ.ი. ლენინი მიუთითებდა, პეტრე პირველი **„Ускорял перенимание западничества варварской Русью, не останавливаясь перед варварскими средствами борьбы против варварства“ (ПСС, т. 26, стр. 301).**

### ალმასვლობის გზაზე

**XII საუკუნის პირველ მეოთხედში მასშტაბური სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა.** XII საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო თანამიმდევრული ბრძოლა ქალაქების შემოსაერთებლად. ჯერ სამშვილდე აიღეს (1110 წ.), 1115 წელს ქართველებმა სელჩუკებს რუსთავიც გამოგლიჯეს ხელიდან, 1117 წელს – გიში, 1118 წელს – ლორე.

საქართველოს სამეფო მთელი გულისყურით ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის – თბილისის შემოსაერთებლად. ეს ბრძოლა მოხდა 1121 წელს დიდგორთან და, როგორც ცნობილია, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. მუსლიმანურმა კოალიციამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1122 წელს თბილისი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა. დავით აღმაშენებელმა ბრძოლის მასშტაბები გაზარდა, რაც არსებითი მნიშვნელობის იყო როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისათვის. ქართველთა და შირვანელთა ერთობლივმა ბრძოლამ უზრუნველყო შირვანის დამოუკიდებლობა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა შირვანი საქართველოს შემოუერთა. დავით აღმაშენებელმა ისარგებლა სომხეთის ჩრდილო რაიონებში გაჩაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლით და მტერს ხელიდან გამოსტაცა სომხეთის ციხეები: გაგნი, ტერუნაკანი, ქავაზნი, ნორაბერდი, მინასგომნი და ტალინჯაქარი. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა ანისიც აიღო.

ამგვარად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის მთელი კავკასია საქართველოს გარშემო გაერთიანდა.

გაერთიანებული და ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფოს წინსვლა მის კულტურაში გამოიხატა. დავით აღმაშენებელი თვითონ ფრიად განსწავლული ადამიანი იყო და ერის განათლებასა და დაწინაურებაზეც ფიქრობდა.

დავითმა 1106 წელს „ადგილსა ყოვლად მშვენიერსა და ყოველითურთ უნაკლულსა“ ააგო ტაძარი, „ამაღლებული ყოველთა წინანდელთა ქმნულება-



საქართველოს სამეფო მთელი გულისყურით ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეს ბრძოლა მოხდა 1121 წელს დიდგორთან და, როგორც ცნობილია, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №42-44



თა“, განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა“, გელათში. დაფუძნებული იქნა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 313-314).

დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში შემოიკრიბა „კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 2008, გვ. 313).

გელათის აკადემია, როგორც ვარაუდობენ, დაარსებულია 1106-1110 წლებში (ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 14). იგი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი აკადემიაა, რომელიც შეიქმნა რეალური ინტელექტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე და გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 251). დაახლოებით ამ პერიოდში მოვიდნენ გელათში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძბერდეცი: „ის ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე, რომელთა რიცხვიდან მან შეარჩია ორმოცი ახალგაზრდა და გაგზავნა საბერძნეთში ცოდნის მისაღებად. სამი ამათგანი შემდგომში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით“ (ვარდან ბარძბერდეცი, მსოფლიო ისტორია, 1861 წ., გვ. 157. სომხურ ენაზე). ბიზანტიაში ცოდნის მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნა; სამშობლოში, ხალხში კულტურის შეტანა მნიშვნელოვანი საქმე იყო. მუსლიმანი მწერლები იმასაც გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებელს ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნების მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთათვის. იგი თურმე ნივთიერადაც ეხმარებოდა მათ და ხანგამოშვებით საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში განათლება და კულტურა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესაბამის სიმაღლეზე იდგა.

* * *

**დიდი გარდაქმნები ახალ ამოცანებს აყენებდნენ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე.**

პირველი დიდი საკითხი – ბრძოლა პოლონეთთან რუსეთისა და უკრაინის მიწებისათვის ნაწილობრივ გადაწყდა ანდრუსოვოს ხელშეკრულებით (1667 წ.) და „საუკუნო ზავით“ (1686 წ.), მეორე მნიშვნელოვანი საკითხი სამხრეთ რუსეთის მიწების დაბრუნება და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ასევე მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა რუსეთისათვის აზოვის შეერთებით (კონსტანტინოპოლის 1700 წლის ხელშეკრულება). მესამე დიდი საკითხი – შვედების მიერ რუსეთისგან მიტაცებული მიწებისა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვების საკითხი იყო. ამ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა განსაზღვრავდა XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს.

რუსეთის მოკავშირეებად გამოვიდნენ დანია, პოლონეთი და პრუსია; ეს ქვეყნები შვედეთის დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლი გახდნენ. შეიქმნა ანტიშვედური კოალიცია. თურქეთთან ზავის დადების შემდეგ (1700 წ.) პეტრე პირველმა ბრძანება გასცა, რუსეთის ჯარს მახვილი ჩრდილოეთისაკენ მიემართა. 1700 წლის 16 სექტემბრიდან 19 ნოემბრამდე რუსეთის 34-ათასიანი არმია წარუმატებლად ცდილობდა ნარვის აღებას. აქ რუსებმა მარცხი განიცადეს და დიდი გაკვეთილი მიიღეს. ისტორიოგრაფიაში ოფიციალურადაა აღიარებული, რომ ნარვასთან მარცხი ეს იყო გზა გამარჯვებისაკენ. საგულისხმოა კ. მარქსის სიტყვები, რომ **„Нарва была первым серьезным поражением поднимающейся нации, умевшей даже поражения превращать в орудия победы“ (К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 10, стр. 589).**

1702 წლიდან გარდატეხა დაიწყო ჩრდილოეთის ომში. პეტრე პირველმა დამარცხებები აგემა შვედებს. ამასთან იგი ამაგრებდა რუსეთის ქალაქებს. რუსეთის არმია ისე გაძლიერდა, რომ მრისხანე ძალად იქცა. 1708 წლისათვის 135 ათას მებრძოლს ითვლიდა იგი. ეს იყო კარგად გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი, მტკიცე დისციპლინის მქონე შეიარაღებული არმია. პეტრე პირველმა დიდი გამარჯვება მოიპოვა პოლტავასთან 1709 წელს. კარლ XII-მ დიდი მარცხი განიცადა. შვედებმა ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს, სამი ათასამდე ტყვედ ჩავარდა. პეტრე პირველმა ზეიმით აღნიშნა გამარჯვება, სადილად შვედი ტყვე-გენერლებიც მოიწვია და შესვა სამხედრო საქმეში თავისი მასწავლებლების სადღეგრძელო. როცა ჰკითხეს, თუ ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, პეტრემ უპასუხა „თქვენ, ბატონო შვედებო!“

პოლტავის გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. პოლიტიკური თვალსაზრისითაც განუმეორებელი იყო იგი. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა **„Карл XII сделал попытку вторгнуться в Россию; этим он погубил Швецию и воочию показал неприступность России“ (К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 22, стр. 17).**




**ფართო მასშტაბით წარმოებულმა გემთმშენებლობამ რუსეთის არმიას მეტად მნიშვნელოვანი სიძლიერე შემატა.**

რუსეთის ავტორიტეტი განუსაზღვრელად გაიზარდა საერთაშორისო მასშტაბით. პეტრე პირველმა ახალ-ახალი წარმატებები ჩაწერა რუსეთის მატიანეში.

პეტრე პირველის საგარეო პოლიტიკა ისტორიულად პროგრესული ხასიათის იყო. გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განმტკიცდა რუსეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. შეიქმნა დამატებითი წანამძღვრები ქვეყნის შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

პეტრე პირველმა დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმეს, ყოველმხრივ ახალისებდა მეცნიერების განვითარებას. 1701 წელს გამოვიდა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც შეიქმნა სანავიგაციო სკოლა. ამის შემდეგ საარტილერიო და საინჟინრო სკოლებიც დაარსდა. სპეციალისტთა მომზადების დაჩქარების მიზნით პეტრე ახალგაზრდა რუს აზნაურებს აგზავნიდა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად. საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნებულთ თვითონ მეფე უტარებდა გამოცდას, თუ რამდენად აითვისეს ესა თუ ის საქმე.

ამ დროს მეცნიერების განვითარება, ბუნებრივია, პრაქტიკული მოთხოვნილების შესაბამისად ვითარდებოდა. პეტრე პირველის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის აკადემიის შექმნა. 1724 წელს სენატმა საგანგებოდ განიხილა აკადემიის დებულება. აკადემია გაიხსნა 1725 წელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერების პროპაგანდასაც, რისთვისაც საგანგებო დაწესებულებებიც შეიქმნა.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად და კულტურულად მაღალ დონეზე იდგა.




**პეტრე პირველის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის აკადემიის შექმნა, რომელიც გაიხსნა 1725 წელს**

* * *

**კიდევ ერთი დამთხვევა... როცა კვლავ საკრალური ციფრი 600 ურევია საქმეში. 1125 წლის იანვარში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, 1725 წლის იანვარში კი – პეტრე პირველი.**

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მეფედ დემეტრე მტკიცდებოდა, ასევე ნაწილდებოდა მთელი მისი ქონება. ეს მომაკვდავი თვითმპყრობელი მეფის ნება იყო: „ხოლო დრაჰკანი, კოსტანტი ცუატას და ჩემნი ლალნი და თუალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემიწირავს. ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა...“

* * *

**პეტრე პირველმა იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოება, მოითხოვა ქაღალდი, რომელზეც რამდენიმე გაურკვეველი სტრიქონი დაწერა. ამ სტრიქონებში გამოირჩა მხოლოდ ორი სიტყვა: „Отдайте все“...**

სიკვდილის წინ ქონების გაცემა, ეტყობა დიდი ადამიანების ხვედრი იყო.



**პეტრე პირველმა დიდი გამარჯვება მოიპოვა პოლტავასთან 1709 წელს. კარლ II-მ დიდი მარცხი განიცადა. შვედებმა ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს, სამი ათასამდე ტყვედ ჩავარდა**

**P.S.** დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ექვსასწლოვან მანძილთან ერთად მასშტაბებიც განსხვავებული იყო. რუსეთის იმპერია თვალუწვდენ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და ბუნებრივია, პეტრეს მიერ გატარებულ ღონისძიებათა მასშტაბები უფრო დიდი იყო. მნიშვნელობა კი ამ ორი მეფის მოღვაწეობისა თავიანთი ქვეყნებისათვის დაახლოებით ერთნაირი იყო.

საერთოდ, როცა დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის დადებით მხარეებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი გარდაქმნები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, თუ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში, მშრომელი მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. დიდგორისა და პოლტავის გამარჯვებები მოსახლეობის ამ ნაწილს აწვა კისერზე. როგორც ერთი, ისე მეორე მეფე ფაქტობრივად ემსახურებოდა თავისი კლასის და ეპოქის ინტერესებს.

გარდაქმნების კლასობრივი მიმართულება, ბუნებრივია არ გამორიცხავდა მათ უდიდეს პროგრესულ მნიშვნელობას. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველო წინა აზიისა და მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილ, პოლიტიკურად და ეკონომიურად მძლავრ სახელმწიფოდ აქცია, პეტრე პირველისამ კი რუსეთი – ევროპის უდიდეს იმპერიად.

600 წელი... 600 არის რიცხვი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა ხიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის. სწორედ 600-მა გადაგვაწყვეტინა ჩვენც ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ნარკვევის დაწერა.



## აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა — 70

# აღიარებული მეცნიერი და მამულიშვილი

**თვალსაჩინო მეცნიერმა, სასახელო პიროვნებამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის.**

**ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს როგორც მის სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ მოღვაწეობას 2000-2001 წლებში საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილედ და 2004-2008 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრად ყოფნისას, მის როლს ჩვენი მეცნიერების გადარჩენაში 1994-2000 წლებში ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე მოღვაწეობის დროს. აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 2013 წელს არჩევის შემდეგ მის მიერ წამოწყებული უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება. მეცნიერების განვითარებაში მისი დიდი ღვაწლის აღსანიშნავად 1997 წელს ის არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 2013 წელს – ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად, ხოლო 2023 წელს – აკადემიის აკადემიკოს-მდივნად.**

**ბატონო ვლადიმერ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დაბადების 70-ე წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

## თბილისის მთავრობის სხდომა

# მხოლოდ კონკრეტული წინადადებები

### კახა კალაძე:

**1.** ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე მოქალაქეთა მხარდაჭერის მიზნით, „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამით ყველა მოსარგებლეს 100%-ით ვაფინანსებთ. პროგრამა **HER**-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული და მეტასტაზური ფორმის ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე მოქალაქეების სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნებას ემსახურება და შესაბამისად, ძვირადღირებული მედიკამენტები ფინანსდება. თბილისის მერია 18, რიგ შემთხვევაში კი, გაცილებით მეტ ინფუზიას აფინანსებს. ჩასატარებლად, მინიმუმ, 24 750 და, მაქსიმუმ, 70 110 ლარი გამოიყოფა. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად, საქართველოს მოქალაქეს ბოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, პროგრამაში ჩართვის დროისთვის, თბილისის მუნიციპალიტეტში უნდა ჰქონდეს რეგისტრაცია. მოქალაქემ პროგრამაში ჩასართავად, განცხადებით და შესაბამისი საბუთებით დედაქალაქის მერიას უნდა მიმართოს, რომელთა საფუძველზე, მედიკამენტის აფთიაქიდან გასატანად, საგარანტიო წერილი გაიცემა.

**2.** კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული 3 500 ოჯახიდან ჩვენ პრობლემა უკვე 2 500 ოჯახს მოვუგვარეთ. ამჯერად გამოვაცხადეთ ინტერესთა გამოხატვა მახათას მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობიც, დაახლოებით, 11 ჰექტარია. შედეგად, საცხოვრებელი ფართებით დამატებით 300-მდე დაზარალებული ოჯახს დავაკმაყოფილებთ. გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება თბილისის მუნიციპალიტეტს, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად, გადმოსცეს არანაკლებ 24 100 კვ.მ საცხოვრებელი ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით. მინდა, მივმართო ბიზნეს სექტორს, ამ პროექტებით დაინტერესებულ ყველა პირს, რომ გაეცნონ შესაბამის პირობებს და მიიღონ მონაწილეობა ინტერესთა გამოხატვაში.

**3.** რაც შეეხება რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციას, ჩვენ ვაწარმოეთ მთელი რიგი კვლევები და გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არსებობს არც სანიაღვრე და არც წყალარინების სისტემა. არის ერთი კომუნისტების დროს აშენებული, ავარიული კოლექტორი, რომელიც ატარებს ყველაფერს. ჯერ უნდა განხორციელდეს ამ კოლექტორის სადემონტაჟო სამუშაოები, რომელიც გარკვეულ დროს საჭიროებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას სამი თვის ვადაში ვგეგმავდით, თუმცა, ზემოთ აღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, ამ პროცესისთვის უფრო მეტი დრო იქნება საჭირო. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ წელს აღნიშნულ სამუშაოებს არ ვაწარმოებთ და გადავდებთ მომავალი წლისთვის. ამასთან, პირველი იქნება მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შემდეგ კი დაგეგმილი გვაქვს რუსთაველის გამზირზე არსებული შენობა-ნაგებობების განახლება-რეაბილიტაცია, თავისი ფასადებით, რადგან ბევრი მათგანი ავარიულია.



**4.** თბილისის შემოსასვლელსა და გასასვლელში არსებული აბრები დიდი ხანია მოძველებულია, რაც ლამაზი ნამდვილად არაა. დედაქალაქის საზღვრების აღმნიშვნელი აბრები უნდა იყოს თანამედროვე და განახლებული. ამიტომ, მათ შესაცვლელად, უახლოეს მომავალში ვაპირებთ, გამოვაცხადოთ შესაბამისი კონკურსი. მასში მონაწილეობა სხვადასხვა დაინტერესებულ პირს შეეძლება. მინდა, დავავალო არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელს, დაიწყეთ შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, პირობები ჩამოაყალიბეთ და როდესაც უკვე მზად იქნებით, საზოგადოებას წარუდგინეთ კონკურსის წესით. ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება, მიიღოს მონაწილეობა.

**5.** გასული წლის ოქტომბერში დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის 18ა-ში გაიხსნა მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც არის ორი საცურაო აუზი, ტანვარჯიშის დამოუკიდებელი დარბაზი, საკალათბურთო, ფრენბურთის, საჭიდაო დარბაზები, კრივისთვის განკუთვნილი სივრცე და ასე შემდეგ. აღნიშნული მულტიფუნქციური ცენტრით, ყოველთვიურად, 3 000-მდე ბენეფიციარი სარგებლობს. პროექტში გათვალისწინებული არის ასევე კაფეს პროექტი. გვაქვს კონკრეტული სივრცე და გვინდა, აქაც გამოვაცხადოთ ინტერესთა გამოხატვა, ფართი გავცეთ იჯარით, კაფეს მოწყობის ვალდებულებით. მივმართავ ბიზნესსექტორს, დაინტერესდეს აღნიშნული წინადადებით და ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღოს.

**26 მარტი, 2025 წელი**

# დედაუნივერსიტეტის საერთაშორისო შესაძლებლობები




**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია ინდოეთში მიმდინარე აზია-ოკეანეთის საერთაშორისო განათლების ასოციაციის წლიურ გამოფენაში (APAIE - Asia-Pacific Association for International Education, 2025) მონაწილეობს. თსუ პირველად წარმოადგენს საკუთარ საერთაშორისო საგანმანათლებლო შესაძლებლობებს ამ ფორუმზე,** – ინფორმაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს.

**„ათასზე მეტი უნივერსიტეტია წარმოდგენილი გამოფენაზე და ბუნებრივია, ქართულ უნივერსიტეტებს შესაძლებლობა აქვს, მათთან დაამყარონ საერთაშორისო თანამშრომლობა. ეს ხელს უწყობს როგორც სტუდენტების გაცვლას, ასევე უცხოელი სტუდენტების მოზიდვას საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პარტნიორი უნივერსიტეტების ფართო საერთაშორისო ქსელი აქვს. ვიმედოვნებთ, რომ დამყარდება ახალი კავშირები და ეს გამოფენა კიდევ უფრო გაზრდის იმ უცხოელი სტუდენტების რიცხვს, რომლებიც დაინტერესდებიან თსუ-ში სწავლით, ასევე ჩვენს სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, სხვადასხვა პროგრამით ისწავლონ ახალ პარტნიორ უნივერსიტეტებში“,** – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

თსუ-ს მონაწილეობა **APAIE** 2025-ში ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას და ახალი რეგიონებისკენ მიმართული თანამშრომლობის გაღრმავების მიზანს. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები ევროპელ, აზიელ და ამერიკელ პარტნიორებთან, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევებისა და სასწავლო პროექტების გაფართოებას.

გამოფენაზე მოწყობილ თსუ-ს სტენდთან დამთვალიერებლებს შესაძლებლობა აქვს ვირტუალური რეალობის (**VR**) ტექნოლოგიის საშუალებით დაათვალიერონ უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები. ვიზიტორებს მიეწოდება ინფორმაცია უნივერსიტეტის დაარსების ისტორიაზე, საგანმანათლებლო პროგრამებზე და საერთაშორისო შესაძლებლობებზე. ინტერაქციული გამოცდილება საშუალებას მისცემს დამთვალიერებლებს, უფრო ახლოს გაეცნონ თსუ-ს როგორც მრავალწლიან ტრადიციებს, ასევე, თანამედროვე აკადემიურ გარემოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ავითარებს საერთაშორისო კავშირებს და ქმნის შესაძლებლობებს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის გლობალური განათლების მიღების მიზნით. **APAIE** 2025-ში მონაწილეობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია თსუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესში.

**APAIE** ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პლატფორმაა საერთაშორისო განათლების სფეროში, რომელიც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს, კვლევით ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს აერთიანებს.



## ქუთაისის ბიუჯეტი 41 მილიონი ლარით გაიზარდა

**ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 41 082 400 ლარით გაიზარდა და 178 328 300 ლარი შეადგინა. ცვლილება ბიუჯეტში საკრებულოს რიგით 41-ე სხდომაზე იქნა დამტკიცებული.**

**სხდომას ესწრებოდნენ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი, მერის მოადგილეები და სამსახურების ხელმძღვანელები. ქალაქის ბიუჯეტის გაზრდა შესაძლებელი გახდა საქართველოს მთავრობის და უშუალოდ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქუთაისისთვის დამატებითი ტრანშის გამოყოფის შედეგად.**

**აღნიშნული თანხიდან, 40 მილიონამდე ლარი მოხმარდება ქალაქში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას – გზების და ტროტუარების კაპიტალურ შეკეთებას, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების და სახურავების განახლებას, რეკრეაციული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების მოწყობას, სპეციალური ტექნიკის და ნაგავშემკრებების შეძენას, 1 მილიონი ლარით კი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები დაფინანსდება.**



**ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ ადგილობრივ ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა. დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიება, სახელწოდებით, „გაზაფხულის დღესასწაულები“, „ილიას ბაღში“ გაიმართა, სადაც ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები და სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ქალები იყვნენ მიწვეული.**

სტუმრებს გაზაფხულის დღესასწაულები ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა **დავით მაქაცარიამ**, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა **გიორგი ვოლსკიმ**, საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა **ზურაბ ჩიკვილაძემ**, პარლამენტის დეპუტატებმა: **ნინო წილოსანმა, ირმა ზავრადაშვილმა, გრეტა წიწავამ, ლიკა შარტავამ** და **მაია ბითაძემ** მიულოცეს.



# გაზაფხულის დღესასწაულები ჩუღურეთში, ვითარცა მთელი საქართველოს ქალთა პატივგება

ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი კი, რომელმაც უკვე მრავალი წელია ტრადიციად აქცია ქალთა დღესასწაულების აღნიშვნა, საქართველოს პარლამენტის წევრი, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **რიმა ბერაძე** იყო. თუმცა, მანამდე, მარტის დღესასწაულებზე, ქალბატონმა რიმამ, თავის გუნდთან ერთად, ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები 500 ქალბატონის მონახულება, გამხნევება და შესაბამისი დახმარებაც შეძლო.

საღამო მსახიობ მაკა შალიკაშვილს მიჰყავდა. ღონისძიებაში მონაწილე ქალებს ყვავილები და სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ. საღამო მუსიკალურად გააფორმეს ქართული ესტრადის მომღერლებმა. სტუმრებს სიტყვით მიმართეს მოწვეულმა სტუმრებმა, მსახიობებმა, დამსწრე ქალბატონებმა და საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა:

ჩუღურეთის რაიონის გამგებელი **დავით მაქაცარია**:

**ჩუღურეთის რაიონი ამაყობს თქვენნაირი ქალბატონების არსებობით. თქვენ ხართ შესანიშნავი დედები, მეუღლეები, შესანიშნავი მეგობრები და კოლეგები. ამისათვის დიდ მადლობას გიხდით! აქვე მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის წევრებს მობრძანებისთვის. სასიამოვნო საღამოს და ბევრ წარმატებას გისურვებთ!**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ნინო წილოსანი**:

**– რაც ამ არაჩვეულებრივ დარბაზში შემოვაბიჯე და დღევანდელი საღამო დაიწყო, ვფიქრობ, როგორ შეიძლება „ვაჯობო“ იმ ფანტასტიურ ლექსებს, რომელიც ამ სცენაზე წაიკითხეს, ან სიმღერებს, რითაც ჩვენი მომღერლები წარდგნენ საზოგადოების წინაშე... თუმცა, მინდა, მათ, მინიმუმ, მივუახლოვდე და ჩემი სიყვარული გადმოგცეთ თითოეულ თქვენგანს! ყველანი მიყვარხართ, იმიტომ, რომ ვიცი, რამხელა ტვირთი და პასუხისმგებლობა გაკისრიათ, როგორი სითბო და სიყვარული გაქვთ თქვენი ოჯახების მიმართ და რა გიკეთებიათ ჩვენი ქვეყნისთვის!**

**პარლამენტში, მარტის თვესთან დაკავშირებით, ვიდეო გადავიღეთ, სადაც გვინდოდა ქართველი ქალის სახე გვეჩვენებინა. მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, გარკვეულმა ჯგუფებმა სცადეს, რომ ქართველი ქალის სახე დაეკნინებინათ და ისეთი**



**სამარცხვინო „საქმეები“ ეკეთებინათ, რაც ქართველი ქალის ბუნებაში არ არის. ჩვენ კი გვინდოდა, ამ ვიდეოთი გვეჩვენებინა, რომ ქართველი ქალი არის ის, ვინც გადაწყვიტა იყოს დიასახლისი და თავი მიუძღვნას ოჯახს, შვილებს, მეუღლეს... ქართველი ქალი არის ის ცოდნით შეიარაღებული მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ სამაგალითოა თავისი მოსწავლეებისთვის! ქართველი ქალი არის ის სასწრაფოს ექიმი, რომელიც სამსახურებრივი ტვირთით ისეა გადაღლილი, რომ არ სცალია აბსურდულ კამპანიებში ჩარევისთვის და ბევრი და ბევრი სხვა პროფესიის საამაყო ქალი გვყავს ქართველებს!... ქართველი ქალები ხართ თქვენ – დედები, დები, მეგობრები, კოლეგები, ვინც ამ ქვეყნის ყოველდღიურობას ქმნით, ვინც თქვენი არსებობით, თქვენი სითბოთი, ენერგეტიკით, თქვენი ყოველდღიურობით აძლიერებთ ამ ქვეყანას და აშენებთ ჩვენთან ერთად! – ვინც აგრძელებთ იმ საამაყო ტრადიციებს, რაც ქართველ ქალებს მემკვიდრეობით გვერგო. მინდა თითოეულ თქვენგანს დიდი სიყვარული დაგიდასტუროთ, ჩემი მუდმივი მორჩილება შემოგთავაზოთ და გითხრათ, რომ თქვენს სამსახურში ვართ და გვინდა, თქვენთან ერთად, ძალიან მაღალ სტანდარტებზე გავიდეთ, რათა მომავალი თაობებისთვის, ჩვენი და თქვენი შვილებისთვის უკეთესი ქვეყანა შევქმნათ!**

ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **რიმა ბერაძე**:

**– რასაც გული მკარნახობს, იმას გეტყვით, – ეს გული თქვენს სიყვარულს ვერ იტევს! ბოდიში მინდა მოვუხადო იმ ადამიანებს, ვინც დღეს აქ არ არიან. ქედს ვიხრი მათ წინაშე, რადგან მე და ჩემმა გუნდმა შევძელით, რომ მარტის დღესასწაულებზე 500 ქალთან მივსულიყავით, დღეს კი, ამ დარბაზში 250 ქალზე მეტი ვერ მოვიპატიჟეთ. მიყვარხართ ძალიან!**

**მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მეგობრებს: ჩემი გუნდის ღირსეულ წევრს, გიორგი ვოლსკის, რომელიც გამოვიდა და მოგეფერათ... მინდა იცოდეთ, რომ ნინო წილოსანი მუდმივად ზრუნავს ქალებზე, არამხოლოდ თბილისის, არამედ, მთელი საქართველოს მასშტაბით და დღეს,**



**ფაქტობრივად, მე-4 ღონისძიებაა, რომელსაც იგი მიმდინარე წელს ატარებს! დარბაზში ძალიან ბევრი ჩემი კოლეგაა და მინდა, თითოეულ მათგანს მადლობა გადავუხადო!**

**მიხარია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა თქვენ იყოთ ბედნიერი დედები, იყოთ წარმატებულები და იცხოვროთ მშვიდობიან საქართველოში. მინდა ბედნიერება, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბევრი სიხარული გისურვოთ!**

თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი **ზურაბ ჩიკვილაძე**:

**– რაც მახარებს, არის ის, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციებს გამგეობის ფორმატში, ქალბატონი რიმას ხელშეწყობით. გამორჩეული დღესასწაულები გვაქვს მარტში, იმიტომ, რომ ჩვენი საყვარელი ქალბატონების დღეებია! გამორჩეულად მინდა ვთქვა, რომ ყველაზე დიდ სიყვარულს რომელი ქალბატონიც იმსახურებს ჩუღურეთში, ეს არის ქალბატონი რიმა და მინდა, მას კიდევ ერთხელ მივესალმოთ. მის გვერდით მუშაობის 10-წლიან პერიოდში არ მახსენდება ადამიანი, რომელიც მასთან დახმარების სათხოვნელად მისულა და გულნატკენი წასულა, თუნდაც საქმე ვერ გაეკეთებინოს მისთვის ქალბატონ რიმას!**

**სამყარო კი, ძალიან ღარიბი და უმწეო იქნებოდა, ქალები რომ არ ყოფილიყვნენ, მინდა ბედნიერი და წარმატებული იყოთ თითოეული თქვენგანი!**

თბილისის მე-10 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი **მეგი აბესაძე**:

**– ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მოწვევისთვის და ამ ლამაზი ღონისძიების ორგანიზებისთვის. დიდი მადლობა ქალბატონ რიმას, იმ სიყვარულისთვის, რასაც მისი გული იტევს! ღმერთმა ყველას შეგვაძლებინოს მოყვასის ასეთი თანადგომა, თანაგრძნობა და სიყვარული, რაც ბევრი ადამიანის მანუგეშებელსა და იმედის მომცემს, ქალბატონ რიმას შეუძლია. მან ტრადიციულად, წელსაც მოახერხა და ულამაზესი დღესასწაული მოუწყო ქალბატონებს. ქალბატონი რიმა ყოველთვის ახერხებს ადამიანების გახარებას, მცირე დაჯილდოებით, ყვავილით თუ თბილი სიტყვით... მან იცის, ვისი გული როგორ გაახაროს! მასთან დასახმარებლად მისული არც ერთი ადამიანი არ რჩება უყურადღებოდ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მავანის თხოვნა მის შესაძლებლობებს აღემატება, ქალბატონი რიმა ახერხებს, რომ ადამიანს მაქსიმალურად დაეხმაროს!**

**დღევანდელი ღონისძიება იყო, ფაქტობრივად, მარტის დღესასწაულების დაგვირგვინება. მადლობა ორგანიზატორებს ასეთი ლამაზი, დახვეწილი, გემოვნებიანი, კარგად ორგანიზებული საღამოს გამო, ქალბატონებს კი ბევრი სიხარული და წარმატებული სიცოცხლე მინდა ვუსურვო, ბედნიერ და მშვიდობიან საქართველოში!**

**ნონა ქარქაშაძე**

## შალვა პაპუაშვილი მოსწავლეებს შეხვდა




**პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდობამ იცოდეს საკუთარი ქვეყნის მოწყობისა და განვითარების საკითხები.**

ყურადღება გამახვილდა ახალგაზრდებისთვის ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობაზე, რომლის თაობაზეც საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო. შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ნინო წილოსანის** ინიციატივით, ქალთა ისტორიის თვის (მარტის) კამპანიის ფარგლებში გაიმართა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალებისთვის ახალ შესაძლებლობებსა და ერთმანეთის გაძლიერების მნიშვნელობაზე. სკოლის მოსწავლეებს საჩუქრად საქართველოს კონსტიტუცია გადასცეს. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეები – **გრეტა წიწავა** და **რიმა ბერაძე**.



**აშშ-ის** ჟურნალ **„თაიმში“ (TIME)** გამოქვეყნებულია ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის საიმონ შუსტერის ვრცელი სტატია სათაურით **„ექსკლუზივი: ზელენსკი ტრამპზე, პუტინზე და ომის დასრულებაზე“**, რომელშიც გადმოცემულია უკრაინის პრეზიდენტთან საუბრის შინაარსი ავტორისეული კომენტარებით.

TIME

**გთავაზობთ ნაწყვეტებს პუბლიკაციიდან:**

# ზელენსკი ტრამპზე, პუტინზე და ომის დასრულებაზე

**უკრაინის პრეზიდენტმა მარტის საღამოს იმპროვიზებული ექსკურსია მომიწყო – თავისი კაბინეტი დამათვალიერებინა, რომელიც, ჩემი შეხედულებით, საკმაოდ უგემოვნოდ არის მოწყობილი – ბევრია გაპრიალებული თითბერი, დიდი ძველებური ჯადი... შთაბეჭდილება ისეთი მრჩება, თითქოს ოთახი დონალდ ტრამპის რეზიდენციიდან – მარა-ლაგოდან გადმოუტანიათო.**

პრეზიდენტი მებოდიშება, რომ დრო ვერ გამონახა ძველი ავეჯის გამოსაცვლელად და რემონტის გასაკეთებლად. მისი კაბინეტის სიღრმეში პრეზიდენტის სამუშაო მაგიდა მოჩანს, რომელიც ჩემს შთაბეჭდილებას აძლიერებს – ისიც ასევე ძალიან ჰგავს ოვალურ კაბინეტში მდგარ „რეზოლიუტს“ – აშშ-ის პრეზიდენტის მაგიდას. იქვე არის ადგილი, სადაც ვოლოდიმირ ზელენსკი თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში: პატარა ერთსაწოლიანი ოთახი, რომლის კედელზე უკრაინის ლიდერის მიერ პირადად შერჩეული ნახატები ჰკიდია.

ისე არ იფიქროთ, რომ ნახატები სამუზეუმო ექსპონატებს წარმოადგენენ. ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი სურათები დაახლოებით 200 დოლარი ღირს, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტისთვის ისინი ერთობ ძვირფასები და მნიშვნელოვანნი არიან – მათში დამალული აზრის გათვალისწინებით. ერთზე გამოსახულია რუსების ხომალდი, რომელიც შავ ზღვაში იძირება, მეორეზე – უკრაინელი ჯარისკაცები კურსკის ოლქში, მესამეზე კი, შუა სურათზე (რომელიც ზელენსკის ყველაზე მეტად უყვარს), ასახულია ცეცხლმოდებული მოსკოვის კრემლი. **„ყოველი მათგანი გამარჯვებაზეა“,** – მიხსნის პრეზიდენტი, როცა ჩვენ საძინებელში შევდივართ, – **„აი, ამ სურათებთან ერთად ვცხოვრობ“.**

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ვოლოდიმირ ზელენსკის საექსკურსიოდ არ მივუწვევივარ. რამდენადაც მივხვდი, მის მიზანს იმ დაძაბულობის განმუხტვა წარმოადგენს, რომელიც თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში დონალდ ტრამპთან და ჯეიმს ვენსთან შეხვედრამ გამოიწვია. პირდაპირი ეთერით გადაცემული კადრები მთელი მსოფლიოსათვის სენსაციად იქცა. ზელენსკის არ სურს მომხდარი ამბის გახსენება, რომელსაც მისი ქვეყნისათვის შეიძლება მძიმე შედეგები მოეტანა. მისი სტანდარტული პასუხი ასეთია: **„დავუტოვოთ იქ მომხდარი ამბავი ისტორიას“.**

ბევრს, ალბათ, არ ეცოდინება, რომ ვიზიტის დროს დონალდ ტრამპზე პოზიტიური შთაბეჭდილების მოსახდენად ვოლოდიმირ ზელენსკიმ გადაწყვიტა რამდენიმე საჩუქარი მოემზადებინა და გაეფანტა აშშ-ის პრეზიდენტის ის ანტიუკრაინული შთაბეჭდილებები, რომლებიც თეთრ სახლზე კრემლის პროპაგანდისტული გავლენის შედეგი იყო.

ერთ-ერთი საჩუქარი შეესაბამებოდა დონალდ ტრამპის ეპოქაში ჩასახულ ვითარებას, რომლის ჩარჩოებში სტუმრებს მასპინძელთან სიტუაციის შესაბამისი ნიშანდობლივი საჩუქრები მიაქვთ, პატივისცემისა და ერთგულების ნიშნად. ასე, მაგალითად, ამას წინათ ისრაელის პრემიერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ დონალდ ტრამპს ოქროს პეიჯერი აჩუქა იმ ასაფეთქებელი მოწყობილობების ნიშნად, რომლებიც ისრაელმა ლიბანში გამოიყენა პეიჯერების სახით, „ჰეზბოლას“ წინააღმდეგ.

ვლადიმერ პუტინი უფრო შორს წავიდა: მან ცნობილ რუს მხატვარს სურათი შეუკვეთა დონალდ ტრამპის გამოსახულებით და ნახატი თეთრ სახლში გაგზავნა. ვოლოდიმირ ზელენსკის საჩუქარი კი ყველაზე შთამბეჭდავი იყო სიტუაციის შესაბამისად – მისი მეგობრის, მძიმე წონაში კრივში მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე უსიკის საჩემპიონო ქამარი.

როცა ოვალურ კაბინეტში შევიდა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ქამარი იქვე დაბალ მაგიდაზე დაიდო და გეგმავდა დონალდ ტრამპისათვის გადაეცა შეკრებილი ჟურნალისტების წინაშე, თუმცა, როცა სატელევიზიო ტრანსლაცია დაიწყო, ზელენსკიმ გადაწყვეტილება შეცვალა და დონალდ ტრამპს სხვა „საჩუქარი“ გადასცა – საქაღალდე უკრაინელი ჯარისკაცების ფოტოებით რუსეთში ტყვეობის შემდეგ, რომლებზეც ისინი შიმშილობა და წამებაგამოვლილები იყვნენ.



**უკიდურეს შემთხვევაში, ვოლოდიმირ ზელენსკისათვის ვლადიმერ პუტინის ჯიუტობა შეიძლება უპირატესობად იქცეს. ბოლო დროს კრემლი აგრძელებს თავისი პირობების კარნახს კონფლიქტის შეწყვეტისათვის: არმიის დემობილიზება, მთავრობის შეცვლა და მტკიცე გარანტია კიევისაგან, რომ ქვეყანა არასოდეს არ გახდება ნატოს წევრი.**

* * *

**ჯედაში (საუდის არაბეთში) გამართული მოლაპარაკების შემდეგ – როცა ამერიკამ უკრაინას სამხედრო დახმარება და სადაზვერვო მონაცემების მიწოდება აღუდგინა, ოვალურ კაბინეტში დატრიალებულმა დრამამ თანდათან სიმწვავე დაკარგა და არასასიამოვნო მოგონებად იქცა.**

ვოლოდიმირ ზელენსკის თვალსაზრისით, შეხლა-შემოხლამ გარკვეული პოზიტიური შედეგებიც მოიტანა, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, „ზოგი ჭირი მარგებელია“. მარტის პირველ ნახევარში უკრაინის პრეზიდენტის რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ზოგიერთი გამოკითხვით, თითქმის 70%-ს მიაღწია – ასეთი მხარდაჭერა ვოლოდიმირ ზელენსკის მხოლოდ ომის პირველ წელს თუ ჰქონდა. მე პირადად ასეთი ცვლილება უცნაურად მეჩვენება: იმის გათვალისწინებით, თუ რაოდენ დიდი რამ იდო მისი ქვეყნის ბედის სასწორზე, როცა ზელენსკიმ ტრამპთან და ვენსთან დავა დაიწყო, უკრაინის მოქალაქეებისათვის უფრო ლოგიკური იქნებოდა თავიანთი პრეზიდენტი დიპლომატიური ძალისხმევის ჩაშლაში დაედანაშაულებინათ.

როცა მე მას ამის ახსნა ვთხოვე, ზელენსკიმ კითხვაზე კითხვით მიპასუხა: **„რატომ იცავდნენ უკრაინელები გმირულად თავს კონფლიქტის დასაწყისში? იმიტომ, რომ მათ ღირსების გრძნობა ჰქონდათ,** – მითხრა მან, – **„ჩვენ არ ვთვლით ჩვენს თავს ზესახელმწიფოდ, მაგრამ უკრაინელები ძალიან ემოციურები არიან და როცა საქმე ეხება ჩვენს ღირსებას, თავისუფლებას და დემოკრატიას, მაშინ ჩვენი ხალხი ფეხზე დგება და ერთიანობის დემონსტრირებას ახდენს“.**

პრეზიდენტის თქმით, უკრაინელებს იმედი ჰქონდათ, რომ ოვალურ კაბინეტში დაინახავდნენ იმას, რასაც ელოდებოდნენ – აშშ რჩება უკრაინის მოკავშირედ. **„მაგრამ იმ მომენტში გაჩნდა შეგრძნება, რომ ჩვენ მოკავშირეები აღარ ვართ ან მსგავსი პოზიციები აღარ გვაქვს“,** – აღიარებს ვოლოდიმირ ზელენსკი, – **იმ საუბრის დროს მე უკრაინის ღირსებას ვიცავდი“.**

არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფასად იქნა ეს მიღწეული. უკრაინელები საკუთარ პრეზიდენტს ამისათვის ბრალს არ სდებენ. ისე ჩანს, რომ ამერიკელებიც. მარტის შუა რიცხვებში ჩატარებული გამოკითხვით (ოვალურ კაბინეტში მომხდარი შეხლა-შემოხლიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ), რესპონდენტთა 60%-მა განაცხადა, რომ აშშ-მა მხარი უნდა დაუჭიროს უკრაინის სწრაფვას ნატოში გაწევრების მიზნით. გამოკითხულთა სამი მეოთხედი დაეთანხმა ვოლოდიმირ ზელენსკის იმაში, რომ ვლადიმერ პუტინი სანდო ადამიანი არ არის ზავის პირობების დაცვის თვალსაზრისით. გამოდის, რომ თეთრ სახლში მომხდარიდან რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგაც კი, როცა აშშ-ის მემარჯვენე პრესა უკრაინას აკრიტიკებს, ამერიკელები მაინც დადებითად აფასებენ ვოლოდიმირ ზელენსკის საქმიანობას.

უკრაინის ლიდერი ამ მონაცემებში შესაძლებლობას ხედავს. სანამ დონალდ ტრამპი ზავის დადებას დაჟინებით ითხოვს, ვოლოდიმირ ზელენსკის განზრახული აქვს ამ პროცესზე გავლენა მოახდინოს, უშუალოდ ამერიკელი ამომრჩევლებისადმი მიმართვით. ვატყობ, რომ სწორედ ამიტომ დათანხმდა იგი ჩემთან ინტერვიუზე. მაგრამ უკრაინის ლიდერი ასევე აღიარებს, რომ თუ იგი დონალდ ტრამპზე გავლენას ვერ მოახდენს, ძალიან მცირე შანსები ექნება სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფაზე.

უკიდურეს შემთხვევაში, ვოლოდიმირ ზელენსკისათვის ვლადიმერ პუტინის ჯიუტობა შეიძლება უპირატესობად იქცეს. ბოლო დროს კრემლი აგრძელებს თავისი პირობების კარნახს კონფლიქტის შეწყვეტისათვის: არმიის დემობილიზება, მთავრობის შეცვლა და მტკიცე გარანტია კიევისაგან, რომ ქვეყანა არასოდეს არ გახდება ნატოს წევრი.

ვოლოდიმირ ზელენსკის საუბედუროდ, დონალდ ტრამპი დათანხმდა კრემლის ზოგიერთ მოთხოვნას – დათმო და დღის წესრიგიდან მოხსნა უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში წევრად მიღება. აშშ-ის ლიდერმა ასევე ინიციატივა წამოაყენა, რომ რუსეთი კვლავ დააბრუნონ მსოფლიოს ყველაზე მდიდარ დემოკრატიული ქვეყნების კლუბში – „დიდი შვიდეულის“ (G7) მერვე წევრად. ზელენსკის თქმით, თუ რუსეთს კლუბში ისევ მიიღებენ (საიდანაც 2014 წელს გარიცხეს ყირიმის ანექსიის გამო), მაშინ ამით უქმდება ის კონკრეტული სასჯელი, რომელიც პუტინმა უკრაინაში შეჭრის გამო დაიმსახურა, ანუ ნეიტრალდება კრემლის საერთაშორისო იზოლაცია. **„ეს ძალზე დიდი კომპრომისია,** – თვლის ვოლოდიმირ ზელენსკი, – **ეს თითქმის იგივეა, ჰიტლერი რომ პოლიტიკური იზოლაციიდან გამოვიდეს“.**

რამდენადაც დონალდ ტრამპი დაბეჯითებით ცდილობს კონფლიქტის შეწყვეტას, მან, როგორც ჩანს, ყველა თაფლაკვერი მხოლოდ პუტინისთვის გაამზადა, უკრაინას კი მხოლოდ მათრახი შეხვდა. ზელენსკი იღიმება და სიტყვებს სათქმელად გულმოდგინედ არჩევს: **„თუ თაფლაკვერი მოწამლული იქნება, მაშინ უფალს მადლობას შევწირავ... შესაძლოა სწორედ ამაშია დიპლომატიური ცბიერება ჩადებული“.** დონალდ ტრამპი თუ მოისურვებს, რუსებს რაღაც-რაღაცებს დაათმობინებს – იმიტომ, რომ ის ერთადერთია დასავლეთში, რომლის მიმართ ვლადიმერ პუტინს შიში აქვს. **„მე ვიცი, რომ სამშვიდობო პროცესის გარკვეულ მომენტებში, როცა დონალდ ტრამპი რუსეთს დამატებითი სანქციებით ემუქრებოდა (უკრაინის დაბომბვის გაგრძელების გამო), რუსებს ძალიან ეშინოდათ“,** – დარწმუნებულია ვოლოდიმირ ზელენსკი.

**უკრაინის ლიდერს იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში დონალდ ტრამპი მიხვდება, რომ ვლადიმერ პუტინი უფრო სუსტია, ვიდრე მას ჰგონია და რომ არ შეიძლება მას ვინმე ენდოს – იმიტომ, რომ რუსეთის გამარჯვება ომში კატასტროფას ნიშნავს არა მარტო უკრაინისთვის, არამედ მთელი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით ამერიკისა და მისი ამჟამინდელი ლიდერებისათვის. „დონალდ ტრამპი და მისი გუნდი, რასაკვირველია, არ შეურიგდება ასეთ დამარცხებას, მათ თავიანთი ამბიციები აქვთ, ისინი საკუთარ როლს ხედავენ ისტორიაში – არა მხოლოდ ძლიერი ლიდერების სახით, არამედ ისეთი იმიჯითაც, რომელიც ომის ღირსეულად დასრულებას შეესაბამება. აი, სწორედ ამიტომ ვერ ვიჯერებ აპოკალიფსურ სცენარებს“, – ასკვნის ზელენსკი.**

და მაინც დონალდ ტრამპთან ერთ-ერთ ბოლო სატელეფონო საუბრის დროს ვოლოდიმირ ზელენსკი შეეცადა, მსგავსი სცენარის ამსახველი სურათი დაეხატა: რა მოხდება, თუ ცეცხლის შეწყვეტას თან რუსეთის მხრიდან უამრავი დარღვევები მოჰყვება? უკრაინის სოფლები და ქალაქები, რომლებიც ფრონტის ხაზის გასწვრივ მდებარეობენ, დაემსგავსებიან ცივი ომის დროინდელ ბერლინს – კედლით გაყოფილს, რომლებიც ძლივძლივობით თუ იარსებებენ. ზელენსკის თქმით, აღნიშნული ტერიტორიები ევროპის რუკაზე „მკვდარი ზონები“ გახდებიან. უკრაინის ლიდერი დარწმუნებულია, რომ დონალდ ტრამპს სრულიადაც არ სურს, პრეზიდენტობის შემდეგ მსგავსი მემკვიდრეობა დატოვოს.

უახლოეს კვირებში ზელენსკი გააგრძელებს ძალისხმევას, რომ ეს ყველაფერი დონალდ ტრამპს და ჯეიმს ვენსს დაუმტკიცოს. მან აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს (რომელსაც ყველაზე მეტად არ მოსწონს ზელენსკი) უკრაინაში ჩასვლა შესთავაზა: „ვიცი, თქვენ არ გინდათ უკრაინაში მოსვლა, მაგრამ ჩვენ მაინც გელოდებით“, – უთხრა ზელენსკიმ, რაზედაც ჯეიმს ვენსს არაფერი უთქვამს.

**რამდენიმე დღის შემდეგ იმ დროიდან, როცა მე ზელენსკის კაბინეტის კართან ვიდექი, პრეზიდენტს კითხვა დავუსვი – რა იქნა ის საჩემპიონო ქამარი, გადაეცით და მან სახლში წაიღო თუ როგორ? „არ ვიცი, – მიპასუხა მან, – შეიძლება ის ისევ იმ მაგიდაზე დევს“. იმ ალიაქოთში, რომელიც შეხლა-შემოხლას მოჰყვა, უკრაინის ლიდერმა საჩუქარი ოვალურ კაბინეტში დატოვა, პატარა მაგიდაზე დივანთან ახლოს. როგორც გავარკვიე, ცოტა მოგვიანებით, იმავე დღეს, ქამარი ადმინისტრაციის ერთ-ერთ თანამშრომელს აუღია და ტრამპის პირად სასადილოში მიუტანია, სადაც ის ახლა სხვა საჩუქრებთან ერთად დევს – წარუმატებელი დიპლომატიური მცდელობის სამახსოვროდ.**

მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



# დონალდ ტრამპის ეკონომიკური რადიკალიზმი



**საფონდო ბირჟა მსოფლიო ეკონომიკის ბარომეტრია, რომელიც ყოველგვარ ფინანსურ ცვლილებაზე მყისიერად რეაგირებს. 2022 წლის შემდეგ, 10 მარტი ამერიკულ საფონდო ბირჟებზე უმძიმესი დღე აღმოჩნდა, როცა სავაჭრო ინდექსმა სამპროცენტიანი ვარდნა განიცადა და, შედეგად, ბევრმა კომპანიამ და ბიზნესმენმა დიდი ფული დაკარგა. მაგალითად, Tesla-ს აქციები 15%-ით დაეცა.**

ეს, 2020 წლის შემდეგ, ყველაზე დიდი ვარდნაა, რაც მსოფლიოს უმდიდრეს კაცს, ილონ მასკს, თითქმის, 23 მილიარდი დოლარი დაუჯდა. Amazon-ის მფლობელმა ჯეფ ბეზოსმა 4.3 მილიარდი და Meta-ს მფლობელმა მარკ ცუკერბერგმა 9.5 მილიარდი დოლარი დაკარგეს. ასევე შემცირდა მრავალი სხვა მთავარი მოთამაშის ქონება. აქციების ვარდნის მიზეზი ტრამპის ქაოსური ეკონომიკური პოლიტიკა აღმოჩნდა.

შარშან, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ამერიკის საფონდო ბირჟები ბრწყინვალე შედეგებს აჩვენებდნენ. ტრამპის მოსვლას უოლ-სტრიტი დიდი სიხარულით შეხვდა, იმედოვნებდა რა, რომ ტრამპი, მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს დაწყებულ ეკონომიკურ პოლიტიკას განაგრძობდა. მაშინ ტრამპი მოქმედებდა არა როგორც რადიკალური პოპულისტი, არამედ, როგორც კლასიკური კონსერვატორი, ანუ გადასახადები დასწია და ეკონომიკის დერეგულაცია მოახერხა. ტარიფების დაწესებაც დაიწყო, მაგრამ ცვლილებები დიდ სატარიფო ომში არ გადაზრდილა.

მეორე საპრეზიდენტო ვადაში, სრულიად განსხვავებული ტრამპი მივიღეთ, რომელიც რადიკალურ ეკონომიკურ ღონისძიებებს ატარებს. როგორც ჩანს, ტრამპს სურს, MAGA-s, Make-America-Great-Again, ეკონომიკური პროგრამა ბოლომდე განახორციელოს, რომელიც უკვე-დავიწყებულ მერკანტილიზმსა და პროტექციონიზმს ეყრდნობა. მოგეხსენებათ, მერკანტილიზმი მე-16-18 საუკუნეების მთავარი ეკონომიკური თეორია იყო, რომლის მიხედვით, მთავრობები ტარიფებს იმპორტზე იმისთვის აწესებდნენ, რომ დადებითი სავაჭრო სალდო შეენარჩუნებინათ, ანუ, თავად გაეყიდათ უფრო მეტი საქონელი ან მომსახურება სხვა ქვეყანაში, ვიდრე ეყიდათ. ეს კი, ეფუძნებოდა რწმენას, რომ სამყაროს ოქროსა და ვერცხლის სახით, შეზღუდული სიმდიდრე ჰქონდა, და რომ ერებს ოქროს მარაგის შევსება სხვა ქვეყნების ხარჯზე სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ ცდილობდნენ, ხაზინაში, საქონლისა და მომსახურების გაყიდვით, რაც შეიძლება მეტი ოქრო და ვერცხლი დაეგროვებინათ.

მათი აზრით, ეს ერის გამდიდრების ყველაზე რაციონალური გზა იყო. პროტექციონიზმი კი, მთავრობის პოლიტიკას გულისხმობს, რომელიც შიდა ინდუსტრიების დასახმარებლად საერთაშორისო ვაჭრობას ზღუდავს. პროტექციონისტული პოლიტიკა, როგორც წესი, შიდა ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება, მაგრამ მისი მიზეზი, ასევე, შეიძლება, უსაფრთხოებასთან ან პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები იყოს.

ეს ორივე პოლიტიკა მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, თითქოს, ისტორიას ჩაბარდა, რადგან, მსოფლიო სავაჭრო ბაზრები ნელ-ნელა გაიხსნა. ღია სავაჭრო ბაზარზე, მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის პოლიტიკა არ მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამას ქადაგებდა ხოლმე დასავლეთი, კერძოდ, ამერიკა. გლობალიზაციამ მსოფლიოს ბაზარი გახსნა, რითაც, ჩინეთის ლიდერობით, აზიის ქვეყნებმა დიდი მოგება ნახეს. დასავლეთმა კი, წინსვლა, მეტ-ნაკლებად, შეაჩერა.

ახლა, ტრამპი დროის ბორბლის უკან დატრიალებას ლამობს, რომ ამერიკა ისევ პირველ ადგილზე იყოს. ეს კი, ურთულესი, ზოგი ეკონომისტის აზრით, მიუღწეველი მიზანია. ტრამპს რომ ამერიკის ეკონომიკის გარდაქმნა სურს, ამას არც თვითონ და არც მისი მრჩეველი ილონ მასკი არ მალავენ. ტრამპმა ეს აზრი ზუსტად 9 მარტს გაახმოვანა და, მეორე დღეს, საფონდო ბირჟამ, მის სიტყვებზე, რეაგირება მოახდინა. მასკი მხარს უჭერს ტრამპის ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას, აღნიშნავს რა, რომ ახალი პოლიტიკის მიზანია, ამერიკის ეკონომიკისთვის მოკლევადიანი ზიანის მიყენება, მათ შორის, რამდენიმე ბაზრის კრახი, რათა შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკა ჯანსაღ საფუძველზე განვითარდეს.

**ასევე, ტრამპის რადიკალური ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი ამერიკის ეროვნული ვალის შემცირებაა, რომელიც 36 ტრილიონ დოლარს გადასცდა! ამერიკაში, ტრამპის იდეები, აქციების გაუფასურებისა და ფასების ზრდის გამო, პოპულარობას კარგავს. შეძლებს თუ ვერა ტრამპი და მისი გუნდი ამერიკის ეკონომიკის ახალ რელსებზე გადაყვანას, ამას მხოლოდ მომავალი გვაჩვენებს.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

# მაინც, რატომ სძულს თეთრ სახლს ევროპა?


The Telegraph | Your Say | News | Sport | Business | Money | Opinion | Ukraine | Travel | Health | Lifestyle | Culture | Puzzles
UK news | Politics | World | Health news | Defence | Science | Education | Environment | Investigations | Global Health S

Why the Trump White House hates Europe

The Signal group chat leak was more than just an intelligence gaffe – it revealed that America is sick of the Continent's 'freeloading'

Roland Oliphant
Senior Foreign Correspondent

Related Topics
JD Vance, Donald Trump, Europe, Nigel Farage, Houthis

25 March 2025 7:06pm GMT

2775

Gift this article free

**ბრიტანული გამოცემა The Telegraph-ი სტატიას აქვეყნებს, სადაც კითხვას სვამს, თუ რატომ სძულს აშშ-ის პრეზიდენტის, ადმინისტრაციას ევროპა.**

**კითხვაზე პასუხს სტატიის ავტორი საიდუმლო ჩატიდან გაჟონილ ინფორმაციაში ეძებს.** საუბარია იმ ჩატზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვიცე-პრეზიდენტმა **ჯეი დი ვენსმა**, თავდაცვის მდივანმა **პიტ**




**ჰეგსეტმა** და ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, **მაიკ უოლცმა** იემენელ „ჰუსიტებზე“ დაგეგმილ სამხედრო ოპერაციის განსახილველად შექმნეს და შეცდომით გამოცემა „ატლანტიკის“ ჟურნალისტი **ჯეფრი გოლდბერგი** დაამატეს.

ჩატში აშშ-ის მაღალჩინოსნები „ჰუსიტებზე“ თავდასხმის გარდა ევროპასაც განიხილავენ. კერძოდ, ვენსი წერს, რომ წითელ ზღვაში მდებარე სუეცის არხზე, სადაც „ჰუსიტები“ დათარეშობენ, აშშ-ის ვაჭრობის მხოლოდ 3% მოდის, მაშინ როცა ევროპის საქონლის 40% ამ მარშრუტს გადის.

**„არსებობს რისკი, რომ საზოგადოება ვერ გაგვიგებს, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი“,** – წერს ვენსი. **„არ მგონია, პრეზიდენტმა გააცნობიეროს, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ეს ევროპისადმი მის მიერ გაჟღერებულ გზავნილებს“,** – დაამატა მან.

როგორც გამოცემა წერს, აშშ-ის კაბინეტის სხვა წევრებმა ვენსი გადაარწმუნეს, თუმცა დაუდასტურეს, რომ მის მოსაზრებას იზიარებენ. **„მე სრულად ვიზიარებ თქვენ უკმაყოფილებას ევროპელების მუქთახორობასთან დაკავშირებით. ეს პათეტიკურია“,** – მიუგო ჰეგსეტმა ვენსს.

The Telegraph-ის ცნობით, ჩატში საუბარი დასრულდა იმით, რომ ვენსი კონსენსუსს დათანხმდა, თუმცა იქვე დასძინა: **„უბრალოდ მძულს, რომ კვლავ ევროპის გადარჩენა გვიწევს“.**

გამოცემა წერს, პირველი, რაც უნდა ახსოვდეთ თავზარდაცემულ ევროპელებს, არის ის, რომ ვენსი თავისი ასეთი მიდგომით ამერიკულ მეინსტრიმს წარმოადგენს. ამერიკა, პირველ რიგში, გაღიზიანებულია იმით, რომ ევროპელები თავდაცვაზე ცოტას ხარჯავენ. როგორც The Telegraph-ი აღნიშნავს, ასეთი ტიპის გაღიზიანება აშშ-ის ორპარტიული პოლიტიკური ტრადიციაა. ეს პრობლემა ჯერ კიდევ ჯონ კენედიმ 60-იან წლებში წამოჭრა.

# 1910 წლის პარიზის წყალდიდობა მეხსიერებაში დღესაც ცოცხალია

**1910 წლის დასაწყისში, ნალექების წყალობით, მდინარე სენას დონე ძალიან მაღალი აღმოჩნდა. მთელი იანვარი, ფაქტობრივად, წვიმიანი იყო, რაც ხელს უწყობდა მდინარის ადიდებას. 1910 წლის იანვრის ბოლოსთვის სენას დონე, დაახლოებით 8 მეტრით გაიზარდა და მდინარემ უფრო სწრაფად დაიწყო დენა. პარიზი არა უშუალოდ სენას კალაპოტებიდან გადმოსული წყლით, არამედ კანალიზაციის, სანიაღვრეებისა და მეტროს გვირაბების მეშვეობით დაიტბორა. დედაქალაქის აღმოსავლეთით და დასავლეთით მეზობელ ქალაქებში მდინარე კალაპოტიდანაც გადმოვიდა და პირდაპირ დატბორა მიმდებარე რელიეფი.**

პარიზელები მომხდარმა შეძრა. მოსახლეობის ნაწილმა ევაკუაცია მოასწრო, სანამ ქუჩები და საცხოვრებელი სახლები წყლით დაიტბორებოდა. წყალმა უზარმაზარი ტერიტორია მოიცვა, რამდენიმე მნიშვნელოვანი პარიზული უბანი მთლიანად დაიტბორა, მათ შორის იყო ცნობილი Le Marais da Saint-Germain-des-Pres. სტიქიასთან ბრძოლაში ასობით მოქალაქე ჩაერთო.

პოლიცია, მეხანძრეები და ჯარისკაცები ნავებით გადაადგილდნენ დატბორილ ქუჩებში და შენობების მეორე სართულის ფანჯრებიდან მცხოვრებლების ევაკუაციასა და დახმარებას ცდილობდნენ. ადამიანები შეიკრიბნენ ეკლესიებში, სკოლებსა და სამთავრობო შენობებში სახელდახელოდ მოწყობილ თავშესაფრებში. მიუხედავად სირთულისა, მუშებმა შეძლეს სენას შეჩერება ნაჩქარევად აშენებული ნაპირებით.

**პარიზი, როგორც საფრანგეთის დედაქალაქი, ყოველთვის იყო კულტურის, ხელოვნებისა და ინოვაციის ცენტრი, თუმცა 1910 წლის იანვარში ქალაქის მშვიდი ცხოვრება, ბუნებრივი კატასტროფის გამო, მყისიერად შეიცვალა.**



**ძალიან სერიოზული საფრთხე დაემუქრათ ქალაქის ისტორიული ძეგლებს, განსაკუთრებით კი, მუზეუმებსა და ხიდებს.**

**წყალდიდობა თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა, თუმცა სენა ნორმალურ დონეს მარტში დაუბრუნდა. წყალდიდობის მიერ მიყენებული ზარალი, დღევანდელი ფულით, 5 მილიარდ დოლარს აღწევდა. აღსანიშნავია, რომ მასშტაბური ზარალისა და წყალდიდობის ხანგრძლივობის მიუხედავად, დაღუპულები არ დაფიქსირებულა.**

**ამ ტრაგედიის შედეგად პარიზი მოემზადა იმისთვის, რომ მსგავსი მოვლენები აღარასდროს განმეორებულიყო, მაგრამ 1910 წლის წყალდიდობა ადამიანების მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია. წყალდიდობამ ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარებაც განაპირობა და უსაფრთხოების ზომების გამკაცრებაც დააჩქარა.**

# „შევერკინოთ, ფეოლა?..“

**1935 წლის ევროზასკეტის ფინალში ლატვიამ 24:18 სძლია ესპანეთს და კონტინენტის პირველი ჩემპიონი გახდა.**




**და აი, 90 წლის შემდეგ ეს ბალტიისპირული ქვეყანა მორიგ მსგავს ფორუმს ფინეთთან, პოლონეთთან და კვიპროსთან ერთად უმასპინძლებს, რომელშიც ზედიზედ მეექვსედ ითამაშებს საქართველოს ნაკრები.**

**გუშინ რიგის ცირკში გამართულმა წილისყრამ გამოავლინა ჯვაროსანთა მეტოქეები ურთულეს ლიმასოლის ჯგუფში, სადაც 27 აგვისტოდან დებიუტანტ კუნძულელებთან და ბოსნიელებთან ერთად ისეთ გრანდებს უნდა შევებრძოლოთ, როგორებიც არიან ჩვენი ძველი ნაცნობები ესპანეთი, იტალია და საბერძნეთი. სწორედ ამაზეა, ალბათ, ნათქვამი – შევერკინოთ, „ფეოლა“?..**

**თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი სურვილი მაინც ავისრულეთ, რადგან ჯვაროსნები კვიპროსში ასპარეზობაზე ოცნებობდნენ, სადაც ხავერდოვან სეზონზე პირდაპირი ავიარეისით უამრავი გულშემატკივარი გვიქომაგებს.**

**დავძენთ, რომ პლეი-ოფიდან მოყოლებული, თითოეული ჯგუფიდან 4-4 საუკეთესო გუნდი რიგაში შეიკრიბება, სადაც ფინალი 14 სექტემბერს მოეწყობა.**

# ლეგენდა ტოლედოში

**ძლევამოსილი ესპანური მონარქიული სახელმწიფოს ყოფილი სატახტო ქალაქი ტოლედო ილია თოფურიას ქუჩამ დაამშვენა, რაც ორი ქვეყნის საამაყო შვილის უდიდეს დამსახურებებზე მეტყველებს როგორც ისტორიული სამშობლოს, ისე, აღნიშნულ შემთხვევაში, განსაკუთრებით, მის დაოსტატებაში გადამწყვეტი წვლილის შემტანი პოლიტიკური ერთეულის წინაშე.**

შეგახსენებთ, რომ მადრიდს უკვე ალამაზებს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოისტის **ნიკო შერაზადიშვილის** ქუჩა, რომელმაც ტიტულები ასევე მისი ტალანტის გამფურჩქნავ ესპანეთს მოუხვეჭა. რომ იტყვიან, მართლაც მისაბაძი მაგალითია.

დავძენთ, რომ ილია თოფურიამ ზედმეტსახელიც შეიცვალა და ამიერიდან ყოფილი მატადორი ლეგენდად იწოდება.




# ყველას მოსდის...

**ფიგურისტთა წლევანდელ მუნდიალზე ანასტასია გუბანოვა ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსით ჩავიდა – როგორც მოგეხსენებათ, ამერიკულ ბოსტონში მომავალი წლის იტალიური ფორუმის (მილანი, კორტინა დამპეცო) საგზურებიც თამაშდება და ვის, თუ არა ბოლო სეზონებში ევროპის ჩემპიონსა და ორგზის ვერცხლის მედალოსანს, უნდა ებრძოლა ხუთრგოლიან თამაშებზე სრიალის უფლების მოსაპოვებლად.**

სამწუხაროდ, მასაჩუსეტსის შტატის მთავარი ქალაქის ყინული ჯვაროსანთა ლიდერისათვის დანავსული აღმოჩნდა და მას მიზნის მისაღწევად შანსი ჩინეთის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატების შემთხვევაშიღა რჩება.

რაც შეეხება ოკეანის გაღმა მოკლე პროგრამით გამოსვლას, საქართველოს წარმომადგენელი პირველივე სამმაგი ნახტომის შესრულების შემდეგ დაეცა, რამაც ფსიქოლოგიურად გატეხა და ვითარების გამოსწორება ვერაფრით მოახერხა, ვინაიდან შეცდომებს შეცდომები მოაყოლა.

შედეგად, 36 მონაწილეს შორის დაკავებული შეუფერებელი 28-ე ადგილი და მაყურებლებში ნაადრევად გადანაცვლება, რადგან სავალდებულო პროგრამაში საასპარეზოდ 24 საუკეთესოში პოზიციის დაჯავშნა იყო საჭირო. დავძენთ, რომ, სავარაუდოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, მედლებს მასპინძლები და იაპონელები გაითამაშებენ.



# ინგლისური გამოცდილებით

**უმცროსი ბორჯღალოსნები 29 მარტს 16 საათზე „ავჭალაზე“ ფრანგ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ, რის შემდეგაც საფრანგეთის ქალაქ ვიშში გაემგზავრებიან და ექვსი ერის ფესტივალზე ზედიზედ მეორედ ითამაშებენ.**

ფესტივალზე **ზურაბ ამონაშვილის** შეგირდები 10 აპრილს იტალიას, 14-ში უელსს, ხოლო 18-ში ირლანდიას შეხვდებიან.

ამ ოთხი უმაგრესი ბრძოლისთვის უმცროსი ბორჯღალოსნები „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე უკვე მესამე კვირაა ემზადებიან. გუნდთან ერთადაა **დემეტრე დევდარიანი,** რომელიც სექტემბრიდან ინგლისში ღვინდება და „სენტ მერის“ ერთ-ერთ ლიდერად იქცა.

**„ინგლისში გატარებულმა პერიოდმა ბევრი ისეთი რამ შემძინა, რაც ცხოვრებაშიც გამომადგება და რაგბიშიც. სხვანაირად ასეთ გამოცდილებას ან საერთოდ ვერ მივიღებდი, ან ძალიან გვიან შევიძენდი. მიხარია, რომ 17 წლის ასაკში ბევრი რამ უკვე გადავაფასე. იქ დამოუკიდებლად მიწევს ცხოვრება, ჩემი თავის პატრონი მე თვითონ ვარ და თუ თავად არ გადავლახავ სირთულეებს, ვერავინ დამეხმარება. ასევე მივხვდი, რომ ცხოვრებაში ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანია. თავიდან მარტოს ძალიან მიჭირდა, თუმცა ახლა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა და გუნდშიც ყველა მენდობა“** – აღნიშნავს დემეტრე დევდარიანი.

ის 18-წლამდელთა დასკვნით შეკრებაზე პირველივე დღიდან იმყოფება და ნაკრებთან ერთად 3-კვირიანი მზადება გაიარა. დემეტრეს კარგად ესმის, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ექვსი ერის ფესტივალზე თამაშს როგორც ინდივიდუალურად მოთამაშეებისთვის, ასევე ქართული რაგბისთვის:

**„ამ სამი კვირის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ. რა თქმა უნდა შეცდომებიც მოგვდის, მაგრამ სწორედ მათი მეშვეობით ვიზრდებით და ვცდილობთ უმოკლეს დროში გამოვასწოროთ. გუნდი მოტივირებულია და ვეცდებით ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ. ექვსი ერის ფესტივალი მნიშვნელოვანი ტურნირია როგორც ინდივიდუალურად თითოეული მოთამაშისთვის, ასევე ქვეყნისთვის. უმაღლესი დონის გუნდებთან თამაში განვითარებაში დაგვეხმარება, რაც სამომავლოდ ჩვენს კარიერას წაადგება. ასევე აუცილებელია, რომ საუკეთესოდ წარმოვაჩინოთ თავი, რათა ჩვენს შემდგომ თაობებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა ითამაშონ ექვსი ერის ფესტივალზე და შეიძინონ ფასდაუდებელი გამოცდილება“.**

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ექვსი ერის ფესტივალზე პირველად შარშან ითამაშეს და საფრანგეთი 20:19 დაამარცხეს. წელს საფრანგეთს ფესტივალზე არ ვეთამაშებით, თუმცა მათ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვეს და 29 მარტს უმცროსი ბორჯღალოსნები ბოლო საკონტროლო შეხვედრას გამართავენ.

**„ფრანგები შარშან დავამარცხეთ და ძალიან გამწარებულები არიან, რევანშის ასაღებად მოდიან. როდესაც ასეთი დონის გუნდი შენთან სათამაშოდ მოდის, ეს პატარა ამბავი არაა. დღესდღეობით საფრანგეთზე კარგი გუნდი ბევრი არაა, თუმცა მაქსიმალურად ვეცდებით, რომ მეტოქეს კიდევ ერთხელ მოვუგოთ, რაც ექვსი ერის ფესტივალის წინ ჩვენს თავდაჯერებას აამაღლებს. დარწმუნებული ვარ შეცდომებიც გვექნება, მაგრამ მონდომებას არ დავაკლებთ, რათა ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ და საფრანგეთი შინ დამარცხებული გავუშვათ“** – აღნიშნავს **დევდარიანი,** რომელსაც განსაკუთრებით ახარებს სამშობლოში, ოჯახის წევრებისა და მეგობრების წინაშე თამაშის შესაძლებლობა:

**„ძალიან დიდი ბედნიერებაა, როდესაც მშობლების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების წინაშე თამაშობ. ეს იქნება დამატებითი სტიმული, თუმცა ამავდროულად – უდიდესი პასუხისმგებლობა. 18-წლამდელებს იშვიათად გვიწევს საერთაშორისო თამაშების საქართველოში, ქართველი ხალხის წინაშე ჩატარება. ეს გვაძლევს მუხტს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა მაქსიმუმი გაიღოს, შეცდომები მინიმუმამდე დაიყვანოს და სტადიონზე მოსული ქომაგი გაახაროს“.**

დემეტრე დევდარიანმა 18-წლამდელთა ნაკრებში შარშანაც ითამაშა და ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, თუმცა ასაკობრივი გუნდების სპეციფიკიდან გამომდინარე, შემადგენლობა ყოველ წელს იცვლება:

**„ვთვლი, რომ ბიჭები ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და ამისათვის დრო კიდევ გვაქვს, რასაც აუცილებლად გამოვიყენებთ. ვცდილობთ სხვადასხვა ოთახებში ვიყოთ, რათა ყველა ერთმანეთს დავუახლოვდეთ, ყველასთან გვქონდეს კომუნიკაცია, რაც რაგბიში ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ხედავ, რომ შენს მეგობარს უჭირს, ორმაგად და სამმაგად მოტივირებული ხდები, მეტად იხარჯები. ეჭვი არ მეპარება, რომ თითოეული ჩვენგანი მოედანზე მაქსიმუმს გაიღებს, მაგრამ თამაშისას შეცდომებიც ხდება და მეგობრის შეცდომას მთელი გუნდი ერთად ასწორებს. რაგბი გუნდური თამაშია და მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდეს“.**

# ენრიკეს ფაქტორი

ვეტერანმა ბარსელონელმა ფეხბურთელმა **ჟერარ პიკემ** ფრანგულ გამოცემა L'EQUIPE-ს ინტერვიუ მისცა, სადაც ესპანელმა „პარი სენ-ჟერმენზე“ ისაუბრა და განაცხადა, რომ ლუის ენრიკეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მოგების ერთ-ერთი ფავორიტია.

**„პსჟ ძალიან კარგი გუნდია და ჩემპიონთა ლიგის მოგების ერთ-ერთი ფავორიტია. ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, როდესაც მათ „ლივერპული“ გამოთიშეს ტურნირს. უნდა ვთქვა, რომ ლუის ენრიკე სწორად მუშაობს და ფეხბურთელებიც იმას აკეთებენ, რაც მას სურს. მას კლუბის პრეზიდენტისგანაც დიდი ნდობა აქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მას შესწევს ძალა და რესურსი, რომ ისეთი კლუბი ააშენოს, როგორიც მას უნდა. მქონდა ბედნიერება სამი წელი მეთამაშა მის გუნდში და ის ძალიან კარგი მწვრთნელია. როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მადრიდის „რეალი“, რომელსაც რაც არ უნდა ცუდი სეზონი ჰქონდეს, ლიგის მოგება მაინც შეუძლია“,** – განაცხადა პიკემ.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „პარი სენ-ჟერმენის“ მეტოქე „ასტონ ვილაა“ და მათი პირველი შეხვედრა 9 აპრილს პარიზში გაიმართება.






# პრიორიტეტი – ქალთა უფლებები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) ახლადარჩეული პრეზიდენტის, **კირსტი ქოვენთრის** განცხადებით, IOC დაიცავს ქალთა უფლებებს სპორტში, რადგან ქალთა ასპარეზობებში ტრანსგენდერთა მონაწილეობის საკითხთან მიმართებით უმთავრეს სპორტულ ორგანიზაციას მართებს გამოავლინოს მეტი ინიციატივა.

**„სპორტში ქალთა უფლებებს პრიორიტეტულად დავიცავთ. მინდა, რომ ამ საკითხთან მიმართებით IOC მეტ ლიდერობას იჩენდეს. თემას საერთაშორისო ფედერაციებთან განვიხილავთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბევრად ერთიანი პოზიცია გვქონდეს.**

**ბევრი გამოწვევა გვაქვს, რომლის გადაჭრაც მოგვიწევს და ჩვენ მათ ერთად გადავჭრით. ქალთა უფლებების განსახილველად შევქმნით სამუშაო ჯგუფს. მასში შევლენ საერთაშორისო ფედერაციები. ერთიან**




**გადაწყვეტილებამდე უნდა მივიდეთ,“** – განაცხადა კირსტი ქოვენთრიმ.

IOC-ის საპრეზიდენტო არჩევნები ორგანიზაციის 144-ე სესიაზე ჩატარდა. ზიმბაბველი ქოვენთრი გახდა IOC-ის მეათე პრეზიდენტი, პირველი აფრიკელი და პირველი ქალი, რომელიც უმთავრეს სპორტულ ორგანიზაციას ჩაუდგება სათავეში.



# 15 სახელმწიფო თეატრი განათებისა და გახმოვანების ახალი სისტემით აღიჭურვა

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს;**
**მარიონეტების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს;**
**გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს;**
**საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებას;**
**ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს;**
**გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს;**
**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, აპარატურა ასევე გადაეცა, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს.**

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ სახელმწიფო თეატრებისთვის გადაცემული აპარატურის საერთო ღირებულება 2 მილიონ 770 ათასი ლარია.

## სანთელი

**პროფესორები ნინო გვენეტაძე, გია მეფარიშვილი, დავით სულაქველიძე, მერაბ ტურავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი სამართალმცოდნე, იურისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული მოქალაქე, პროფესორი**



**ოთარ გამყრელიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**





# ხაზარაძე და ჯაფარიძე პროკურატურაში გადაამისამართეს!

**„ლელოს“** ლიდერები საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდნენ, ამიტომ უკვე ცნობილია რა პასუხისმგებლობა დაეკისრება **მამუკა ხაზარაძეს** და **ბადრი ჯაფარიძეს** კანონდარღვევის გამო.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე არგამოცხადების გამო, მამუკა ხაზარაძის საქმე პროკურატურაში გადაიგზავნა. მას, შესაძლოა, 1-წლიანი პატიმრობა ან ჯარიმის გადახდა დაემუქროს. ბადრი ჯაფარიძეს კომისიამ შესთავაზა, რომ პარლამენტში 16-საათამდე მისულიყო და შეკითხვებისთვის ეპასუხა. თუმცა ეს შანსი არც ჯაფარიძემ არ გამოიყენა და კომისიის სხდომაზე არც ის მივიდა.

„ლელოს“ ლიდერებმა სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს, მიზეზები კი, სოციალურ ქსელში განმარტეს. ყოფილი ბანკირები ყოფილ ხელისუფლებასთან ბიზნეს-რეკეტში თანამონაწილეობას უარყოფენ, მათი მისამართით არსებულ კითხვებს კი მხოლოდ პოლიტიკურ დევნად აფასებენ.

შეკითხვები შპს „მაგნატის“ საქმის ფიგურანტების მისამართით დაზარალებული ბიზნესმენის გამოკითხვის შემდეგ უფრო მეტი გაჩნდა.

კანონით დადგენილი პროცედურების დაწყებას „ლელოში“ მუქარა უწოდეს. ხაზარაძე-ჯაფარიძის კოალიციის წევრებმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს, რომ გამოწვევა უპასუხოდ არ დარჩება და რომ წინააღმდეგობა უფრო გააქტიურდება.

რაც წლების წინ მოხდა, ამაზე თავად ალეკო ელისაშვილი სთხოვდა პასუხს მამუკა ხაზარაძეს „რუსთავი 2-ის“ ეთერში. მწვავე დაპირისპირება პირდაპირ ეთერში სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში „ლელოს“ ლიდერის ბიზნესსაქმიანობას ეხებოდა. ახლა კი ბრიფინგზე იდგა და თავდახრილი ისმენდა პარტიის წევრების განცხადებებს, რომ ხაზარაძის წინააღმდეგ თითქოს პოლიტიკური დევნა მიმდინარეობდა.

**„არალეგიტიმური პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მისვლას არ ვაპირებ“**, – დაწერა „ძლიერი საქართველოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ სოციალურ ქსელში.

მისი თქმით, ოცნების პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომა **„არასერიოზული და კომიკურია“.**

კომისიის თავმჯდომარემ **თეა წულუკიანმა** კი კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კომისიის წინაშე გამოცხადებაზე უარი სისხლის სამართლის დანაშაულია.

* * *



**საგამოძიებო კომისიამ, 25 მარტს ნავთობკომპანია „მაგნატის“ ჩამორთმევის საქმე განიხილა.** მოუსმინეს დაზარალებულ ბიზნესმენ **ჯემალ ლეონიძეს** და მის ადვოკატს, რომლებმაც ბიზნესის წართმევის სქემაზე ისაუბრეს და დაასახელეს კონკრეტული გვარები, მათ შორის, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი.

**„გაიარა ომის ეპიზოდმა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, ქვეყანამ ომი გადაიტანა, სექტემბრის თვეში „თიბისი ბანკის“ მაშინდელმა მენეჯმენტმა მოითხოვა ჩემი კომპანიისგან თანხების დაფარვა“,** – განაცხადა კომისიაზე **ჯემალ ლეონიძემ.**

ლეონიძის თქმით, ბადრი ჯაფარიძის წარმომადგენელი დაუკავშირდა მისი კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს ნოდარ ხადურს და განუცხადა, რომ კომპანიის წილის ყიდვა სურდა „თიბისი ბანკს“.

ჯემალ ლეონიძის ადვოკატის როინ მიგრიაულის განცხადებით „მაგნატის“ წილის გადაფორმების მოლაპარაკებებში იძულებული გახდნენ, მოლაპარაკება ისე დაესრულებინათ, როგორც „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელს სურდა.

**„გაკოტრების წარმოებას სამი მმართველი ახორციელებდა იმ პერიოდში. თვიდან იყო მეურვე, შემდეგ გაკოტრების მმართველი და ბოლოს სააღსრულებო ბიურო ჩაერთო, როგორც მმართველი. მალე დაასრულეს მისი გაკოტრების საქმის წარმოება, რადგან მისი სრული ქონება არ იქნა ბოლომდე მოძიებული.**

**„მაგნატის“ წილის გადანაწილების ერთი ეპიზოდია, როდესაც თიბისი ბანკმა მოამზადა შეთანხმება თავისი იურისტების მეშვეობით. ამ შეთანხმების თანახმად, „მაგნატის“ 5% უნდა დარჩენოდა ერთ-ერთ სუბიექტს, რომელზეც წილი ჰქონდა გადანაწილებული. თუ არ ვცდები, ბატონი ბუჩუკური იყო ასეთი, ვისზეც იყო ეს 5% რეგისტრირებული. მგონი, ეს ბოლო 5% იყო, რადგან დანარჩენი პროცენტები უკვე გადანაწილებული ჰქონდა. მე ვცდილობდი, ყველანაირად, რომ არ მომხდარიყო ამ 5%-ის დათმობა, მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, ამ მოლაპარაკების ოთახში შემოდის ბატონი ბუცხრიკიძე და ულტიმატუმს აყენებს, რომ თუ ახლა ამ შეთანხმებას თქვენ ხელს არ მოაწერთ, ეს მოლაპარაკება ჩაიშლება და ეს 5% არ დაგრჩებათ. ამ მოლაპარაკებას ესწრებოდა ბატონი ბუჩუკური, ბანკის იურისტი და ჩვენ იძულებული გავხდით, რომ მოლაპარაკება ისე დაგვესრულებინა, როგორც თიბისი ბანკის წარმომადგენელს სურდა“,** – განაცხადა ადვოკატმა **როინ მიგრიაულმა.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# უშგულში ზვავის ჩამოწოლას ესპანელების ჯგუფის წევრი შეეწირა!

**მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ უშგულში, ზვავის ჩამოწოლის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. ინფორმაცია „კვირას“ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაუდასტურეს.**

არსებული ინფორმაციით, დაღუპულია ესპანელების ოთხკაციანი ჯგუფის ერთი წევრი – ქალი, რომელიც სრიალის დროს ჩამოწოლილ ზვავში მოყვა.

დაღუპული ადგილობრივი გიდების დახმარებით იპოვეს, ის ქუთაისის პროზექტურაშია გადასვენებული.

# ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა!



**გვიან ღამით საფიჩხიაზე, ქუთაისის გასასვლელთან, მდინარე წყალწითელაზე არსებული ხიდიდან მანქანა მდინარეში გადავარდა.** შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# ხაშურის რკინიგზის მემანქანე სარკინიგზო ტრანსპორტიდან გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა

**ხაშურის რკინიგზის მემანქანე სარკინიგზო ტრანსპორტიდან ე.წ DGK-დან გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა. ინფორმაციას ადგილობრივი მედია „მოზაიკა“ ავრცელებს.**

ოფიციალური ინფორმაციით, მემანქანე გაჩერებული ტრანსპორტიდან გადმოვარდა, თავი დაარტყა ლიანდაგს და ადგილზე გარდაიცვალა.

# ბოლივიაში წყალდიდობის შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა

**ბოლივიაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. უხვი ნალექისა და წყალდიდობების გამო ქვეყანაში 50 ადამიანია დაღუპული, ხოლო 100 000-ზე მეტი ადამიანი ევაკუირებულია.**

ძლიერი წვიმის შედეგად ქვეყანაში ცხრა რეგიონია დაზარალებული.

ბოლივიის მეტეოროლოგიურ სამსახურში ამბობენ, რომ მსგავსი უხვი ნალექი ძირითადად თებერვლის თვეში მოდის ხოლმე, წელს კი განგაშის წითელი დონე მარტიდან აპრილამდე გაგრძელდება.

# თურქეთში ზამთრის კურორტზე სასტუმრო დაიწვა!

**თურქეთში, ბურსას პროვინციაში, სათხილამურო კურორტ ულუდაგში სასტუმრო დაიწვა. როგორც თურქული მედია იტყობინება, ხანძრის შედეგად, 2 ადამიანი დაიღუპა.**



მედიის ცნობით, დაიღუპა მოთხილამურე ბერკინ უსტა და მისი მამა იაჰია უსტა, რომელიც თურქეთის სათხილამურო და სნოუბორდის ასოციაციის პრეზიდენტი იყო. ბერკინ უსტას დედა ფიქრიე უსტა საავადმყოფოში, უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. ბერკინ უსტა 2024 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. ხანძრის გაჩენის დროს, შენობაში 12 ადამიანი იმყოფებოდა. მაშველებმა 10 ადამიანის გადარჩენა შეძლეს.



# თბილისის ფუნიკულიორი 120 წლისაა

**იუბილესთან დაკავშირებით ფუნიკულიორის ისტორიული ფოტოები გამოიფინა. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამთო საბაგირო რკინიგზა ყოველდღიურად უამრავ სტუმარს ემსახურება.**

მთაწმინდის პარკის დირექტორის გელა დიღმელაშვილის განცხადებით, 2026 წელს სალიანდაგო ქსელი შეიცვლება.

**„გადავალთ ახალ სისტემაზე, სადაც ყველა ახალი რელსი იქნება ერთმანეთში გადადუღებული, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ამორტიზაციას როგორც ვაგონების, ასევე ხიდის, ესტაკადის“** – განაცხადა **გელა დიღმელაშვილმა.**

# მყინვართა დნობა ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება!

**მსოფლიოში ზედიზედ მესამე წელია ყინულოვანი მასის სწრაფი დნობა დასტურდება, რაც დედამიწას სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს,** – განაცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

**„მყინვარების შენარჩუნება არა მხოლოდ ეკოლოგიური, ეკონომიკური ან სოციალური აუცილებლობაა – ეს გადარჩენის საკითხია“,** – განაცხადა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **სელესტა საულომ.**

275 000 მყინვარი 700 ათასამდე კვადრატულ მეტრს ფარავს, თუმცა ეს ფართობი სწრაფად მცირდება კლიმატური პირობების ცვლილებების გამო. კერძოდ, დაკარგულია 450 მილიარდ ტონამდე ყინულოვანი მასა.

მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ თუ დღევანდელი ყინულოვანი მასების დნობის მაჩვენებელი არ შეიცვლება, ძალიან ბევრი მყინვარი აშშ-ში, კანადაში, სკანდინავიაში, ცენტრალურ ევროპაში, კავკასიაში და ახალ ზელანდიაში XXI-ე საუკუნეში უბრალოდ გაქრება. ორგანიზაციაში ასევე აღნიშნეს, რომ მყინვარები მსოფლიო წყლის მარაგის 70%-ს შეიცავს. იმ შემთხვევაში თუ მყინვარები გაქრება, მილიონობით ადამიანი წყლის გარეშე დარჩება.




# ღირსი იოანე სინელის (კიბისაღმწერელი) ხსენება



**30 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს იოანე სინელს (კიბისაღმწერელს).**

თავის თხზულებაში „კიბე“ იოანე სინელი მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების შესახებ, რაც ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების სრულყოფილების იდეალს წარმოადგენს, ეს არის მოძღვრება სათნოებათა შესახებ. აღნიშნული ნაწარმოები ქართულად სამჯერ უთარგმნიათ. ის 30 თავისგან შედგება (ანუ 30 კიბის საფეხურისგან), ქრისტეს ცხოვრების 30 წლის ანალოგიით, რადგან მაცხოვარმა 30 წლისამ ნათელიღო.

საგულისხმოა ისიც, რომ იოანე სინელმა აღსავლის კიბის ოცდაათი საფეხური გამოგვისახა და გვითხრა, თუ მივაღწევთ კიბის სათავეს, მაშინ ჩვენც ვიქნებით სრული და დაუცემელიო.

**გიული ლიპარტია**



# მონეტებითა და იარაღით სავსე პირამიდები...

**იუდეის უდაბნოში მკვდარ ზღვასთან ახლოს არქეოლოგებმა 2200-წლიანი პირამიდალური სტრუქტურა აღმოაჩინეს, რომელიც მონეტებითა და იარაღით არის სავსე. ინფორმაციას ისრაელის სიძველეების სამმართველო ავრცელებს. არქეოლოგებმა აღნიშნეს, რომ იდუმალებით სავსე პირამიდალურ სტრუქტურაში ბევრი კარგად შენახული ნივთი იპოვეს.**

**„ეს აღმოჩენა საოცრად ამაღელვებელია და ემოციურიც კი. მისი მნიშვნელობა არქეოლოგიური და ისტორიული კვლევებისთვის ძალიან დიდია“,** – განაცხადა ისრაელის სიძველეების სამმართველოს დირექტორმა **ელი ესკოსიდომ.**

პირამიდა ხელით დამუშავებული ქვებით არის აშენებული. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს ისტორიული ძეგლი, სამარხი ან საგუშაგო იყო. დაბალი ტენიანობის წყალობით, ნივთები ათასწლეულების განმავლობაში კარგად შეინახა. მათ შორისაა პაპირუსი, რომელზეც წარწერები ძველბერძნულ ენაზეა დაწერილი. არქეოლოგების თქმით, წარწერები იმ ენაზეა შესრულებული, რომელზეც სელევკიდების იმპერიისა და პტოლემეების სამეფოს მოსახლეობა საუბრობდა. აღმოჩენილ ნივთებს შორისაა უძველესი ბრინჯაოს მონეტები და თასები, ავეჯის ნაწილები, მძივები, იარაღი, ქსოვილები, თესლები. ეს ყველაფერი მშრალი კლიმატის წყალობით შეინახა და განადგურებას გადაურჩა, განმარტეს არქეოლოგებმა.

არქეოლოგიური გათხრები 8 აპრილამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც მეცნიერები აღმოჩენილი ნივთების დეტალური შესწავლით დაკავდებიან.

# სიცოცხლის წარმოშობის კვალს მიაგნეს

**ციურიხის (შვეიცარია) ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის (ETH) მკვლევრები აცხადებენ, რომ დედამიწაზე სიცოცხლე, შესაძლოა, ოთხი მილიარდი წლის წინ დიდ სოდიან ტბებში წარმოიშვა.**

სიცოცხლის წარმოშობისა და განვითარებისთვის საჭიროა საკმაოდ დიდი რაოდენობის ფოსფორი, რომელიც გენეტიკური მასალის – დნმ-ს – შემადგენელი ნაწილია. თუმცა, როგორც ETH-ის მიერ სამშაბათს გავრცელებულ პრესრელიზშია აღნიშნული, ეს ელემენტი მცირე რაოდენობით მოიპოვება. ასე იყო იმ დროსაც, როდესაც სიცოცხლე წარმოიშვა.

ამიტომ, მეცნიერებმა დასვეს კითხვა: სად შეიძლებოდა ყოფილიყო ფოსფორის მაღალი კონცენტრაცია დედამიწაზე მილიარდობით წლის წინ? ETH-ის მკვლევრებს უკვე აქვთ პასუხი ამ კითხვაზე: ისეთ დიდ სოდიან ტბებში, რომლებსაც ბუნებრივი დრენაჟი არ აქვთ. ასეთი ტბები წყალს მხოლოდ აორთქლების გზით კარგავენ. შედეგად, ფოსფორი რჩება წყალში, ნაცვლად იმისა, რომ მდინარეებმა და ნაკადულებმა წაიღონ. ასეთ სოდიან ტბებში ფოსფორის ძალიან მაღალი კონცენტრაციაა.

აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ჯერ კიდევ 2020 წელს აღნიშნეს, რომ სწორედ სოდიანი ტბები შეიძლება ყოფილიყო სიცოცხლის აკვანი. ETH-ის მკვლევრებმა ეს თეორია უფრო დეტალურად შეისწავლეს და გააანალიზეს. თუმცა, სიცოცხლის წარმოქმნისთვის ოპტიმალური პირობები ყველა სოდიან ტბაში არ არსებობს. ერთ-ერთი მკვლევარი კრეიგ უოლტონი ამბობს, რომ პატარა სოდიან ტბებში როგორც კი მათში სიცოცხლე დაიწყებდა განვითარებას, ფოსფორის მარაგი უფრო სწრაფად ამოიწურებოდა, ვიდრე მისი შევსება მოხდებოდა. ამიტომ, მკვლევრები ფიქრობენ, რომ სიცოცხლე განვითარდა დიდ სოდიან წყალსატევებში და არა პატარა გუბურებში, როგორც ამას ჩარლზ დარვინი ვარაუდობდა.





# იაპონიაში აუქციონზე თინუსი 1.3 მილიონ დოლარად გაიყიდა

**გიგანტური, მოტოციკლის ზომის ცისფერი თინუსი იაპონიის ყველაზე პრესტიჟულ თევზის ბაზარზე 1.3 მილიონ დოლარად (207 მილიონი იენი) გაიყიდა.**

გამოცემის ცნობით, თევზი მიშლენის ვარსკვლავიანი სუშის რესტორანმა შეიძინა. ცისფერი თინუსი ყველაზე დიდი თევზია, რომელსაც შეუძლია 40 წლამდე იცოცხლოს. ველური ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) მიხედვით, ეს სახეობა საფრთხის წინაშეა და მათი რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

**„წლის პირველ თინუსს წარმატება მოაქვს“,** – აცხადებს რესტორან Sushi Onodera-ს პრეზიდენტი შინჯი ნაგაო, რომელმაც მილიონდოლარიანი თინუსი შეიძინა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 მარტს